საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 7 იანვარი 1919 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

ფასი გაზეთისა: 1 თვით 12 მანეთი. ცალკე ნომერი 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნეს არა უგვიანეს ღამის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ყველა მიმწერლებმა ყველა წერილები ადრესით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ყველს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 5 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 5

გურიის სოც. დემ. კომიტეტი და სახალხო გვარდიის შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ ბოლნის ხაჩენში (ეკატერინენფელდის ფრ.) 30 დეკემბერს მტერთან ბრძოლაში გმირულათ დაეცნენ გურიის სახალხო გვარდიელები

**ოდ. ლადიკო ჟაიხარის ძე თავაძე, ილიკო მგელაძე, სანდრო კალიტონის ძე შავიშვილი, ხალამპრი ჩხაიძე და ვასილი კირილეს ძე გალათურია**

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—1)

---

სამტრედიის სახალხო გვარდიის შტაბი გულდაწყვეტილი აუწყებს ამხანაგებს, რომ მტრის წინაამდეგ მამაცურ შეტევის დროს გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე სამტრედიის გვარდიელი ამხანაგები:

**პავლე კოპალეიშვილი, გერმანე სტურუა, ონისიმე გაგუა, ალექსანდრე გაშაძე, ივანე ვაშაკიძე, ემილე გოგიეიშვილი, პროკოფი ფრანგიშვილი და სერგო ხაშულაძე**

---

ნატანების სოც.-დემოკ. კოლექტივი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობ მეგობრებს, რომ სომხებთან ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა გვარდიელი

## ვასილ კირილეს ძე გალათურია

რომელის დასაფლავება მოხდა ს. ნატანებში ამა წლის 5 იანვარს.

---

ქსენოფონტე ანტონის ძე ზამბახიძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 27 დეკემბერს (ძველი სტილით) გადახდილ იქნება პირველის საყვარელი მეუღლის, ხოლო მეორეთა საყვარელი დედის

## ანეტა აქვსენტის ასული ზამბახიძისა

საორმოცო წირვა წმინდა იოანეს ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში 12 საათზე სოფელ შუა ამაღლებაში (გურია).

---

გულდამწვარი მეუღლე მარიამ თევდორეს ასული, მშობლები თეიმურაზ და სვიმონი, ძმები ივანე, ნესტორი, პარმენი და ვალიკო ქლიბაძეები, ქალიშვილი სოლომონ და ცოლის და ნინო ქორიძეები, სიდედრი მარიამი კახელაძისა და გულითადი ამხანაგი მელიტონ ფერაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 7 იანვარს წმინდა ნინოს ეკლესიის გალავანში მიცვალებულის სასაფლაოზე გადახდილ იქნება ეგვსი თვის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

## კოლია (კონსტანტინე) სვიმონის ძე ქლიბაძის

სულის მოსახსენებლად.

---

მწუხარებით გულმოკლულნი: დედა ლიზა, მამა ასალო, დაძმანი: ვასილი და სონა, მაზლი: თალხან, ბიძა: პავლე, ბიცოლა მატა, ბიძისშვილები: ვენიამინ და ასინეთ, მამიდები: რისიმე, ოლღა, ესმა, ელისაბედ, მინა და ვარდო დოლიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს, რომ 8 იანვარს (ახ. სტ.) ხანგძლივ ავათმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

## სიმონ (სინო) ასალოს ძე დოლიძე

რომლის გამოთხოვების დღეთ არის დანიშნული 9 იანვარი (27 დეკემბერი) სოფ. ამაღლებაში (გურია).

---

კახეთის რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა მწუხარებით აუწყებს კავშირის წევრებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კახეთის რკინის გზის მემანქანე და ჩვენი კავშირის წევრი

## ლადო (ვლადიმერ) შენგელია

---

9 იანვარს, ამა 1919 წელს ლიხაურის ხვთის მშობლის ეკლესიაში (გურია) გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დედა და შვილის

## ლიუდი გიორგი ნაკაიძის ასული ურუშაძისა და ნადია ხარიტონის ასული ურუშაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პირველის მეუღლე და მეორესი მამა ხარიტონ სიმონის ძე ურუშაძე. პირველის შვილები და მეორესი დები და ძმები: ელისაბე, ფატუშია, გაბო, გიორგი და ცუცა (ნინა) ხარიტონის ძე და ასული ურუშაძენი. პირველის დები და მეორეს დეიდები: ათინე ხომერიკისა და პატკუ (ნინა) ბოლქვაძისა, პირველის ძმა და მეორეს ბიძა ვლადიმერ ნაკაიძე, პირველის სიდედრი და მეორეს ბებია ბაკაკო ურუშაძისა. პირველის მული და მეორეს მამიდა ბაბინე ჟღენტისა. პირველის მაზლები და მეორეს ბიძანები ნოე და ვარლამ ურუშაძეები. სიძეები: ლავრენტი ხომერიკი, სოლომონ ბოლქვაძე და ანტონ ჟღენტი.

---

ღრმად დამწუხრებული დედ მამა ეპრაქსია და ნიკიფორე სალუქვაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 9 იანვარს 1919 წ. (ახ. სტ.) დილით, ხუთშაბათს 12 საათ. ქ. ფოთში ადგილობრივ სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, მათი გარდაცვალებული შვილების, ვარშავის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტის

## ვალიკოს

და ფოთის გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფის

## გრიშას

(პირველის ნახევრის, მეორის მთელი წლის) სულის მოსახსენებლად.

---

ვიზიარებ ლუკა ტორჩინავას ღრმეს მწუხარებას მისი ძვირფასი ძმის

## დიმიტრი ტორჩინავას

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. გიორგი რაფავა (ქ. თფილისიდან).

---

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ელიზბარ მიქელის ძე და ფოტინე იესეს ასული ჭანიშვილი შვილებით, მეუღლე ბართლომე გრიგორის ძე მეგრელიძე შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 9 იანვარს (ახალი სტ.) გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ს. ქუთაისში დაუვიწყარ

## მარო ელიზბარის ასულის მეგრელიძის

სულის მოსახსენებლად.

---

4 იანვარს, ღამით 3 საათზედ გარდაიცვალა

## ნიკოლოზ სოლომონის ძე კურატაშვილი

რასაც ღრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე სონა—შვილებით და ძმა გიორგი სოლომონის ძე მეუღლით კურატაშვილები. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე. გამოსვენება ოთხშაბათს, 8 იანვარს საკუთარ სახლიდგან პანკევიჩის ქ. № 28, დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე.

---

## საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტი განაგრძობს შემოწირულების მიღებას.

საქართველოს შვილნო! ნუ დაივიწყებთ სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაღუპულთა ოჯახობას. შეეწირეთ სომხეთთან ომში მოკლულთა და დასახიჩრებულთა ოჯახების სასარგებლოთ. გამოგზავნეთ თქვენი წვლილი საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტში, რომელიც ომის შეწყვეტის შემდეგომაც განაგრძობს მოქმედებას.

გოლოვინის ქუჩა, № 24, მეომართა დამხმარე კომიტეტი.

---

## ორი სახელმწიფოებრიობა

საქართველოს სოციალდემოკრატია ამ პარტიისთვის უჩვეულო საქმეს აწარმოებს, სახელმწიფოს ჰქმნის. ცხადია იგი ჰქმნის მას ხატით და სახედ თვისა, ე. ი. ჰქმნის დემოკრატიულ რესპუბლიკანურ ფორმით, რომელიც, როგორც კაუცკი სწერდა, საუკეთესო ფორმაა მუშათა კლასისთვის თავის კლასობრივი ინტერესების დასაცველად და მომავალი ბედნიერი წყობილებისთვის ნიადაგის მოსამზადებლად. მაგრამ დღემდე არსებულ სახელმწიფოებს, რომელთაც იცნობს ევროპის სინამდვილე, აქვს თავის განსაკუთრებული ელფერი, სახე, აზრი და მნიშვნელობა: იგი ბურჟუაზიის ბატონობის იარაღია. მისი სათავე საფრანგეთის პირველი, დიდი, ბურჟუაზიული რევოლიუციაშია, რომელსაც ბურჟუაზია მეთაურობდა. ამ რიგათ არის დასაბამი ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივობის ბურჟუაზიული კლასების მეთაურობით და არის დასაბამი დემოკრატიული სახელმწიფოებრივობის ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომელსაც მეთაურობს მუშათა კლასი—ეს ავანგარდი დემ. წრეებისა. ჩვენს რესპუბლიკას რევოლიუციის და მრავალ სხვა ისტორიულ პირობების მეოხებით ეს მეორე ფორმა ხვდა წილად. იგი მუშათა კლასის მეთაურობას ქვეშ სდგას. მუშათა პარტიის ხელმძღვანელობას ექვემდებარება, მის აზრსა და და მიზანს ანხორციელებს.

და ამით იგი არის ულრესათ ნაციონალურია, რაც იგი, მთელი ერის შემაერთებელი, გარდა ერთი მუჭა უკმაყოფილო შეძლებულ ელემენტებისა. მაშასადამე, აქ განსხვავებულია სახელმწიფოს ის თვისება, რომლითაც იგი არის არა მარტო ბატონობა ერთი კლასის, არამედ ორგანიზაცია მთელი საზოგადოების. აქედან ლოზუნგი, გეზი მოქმედებისა, მიზანი და საშვალებანი სახელმწიფოებრივი არსებობისა, დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებითათ განსხვავდება ბურჟუაზიული სახელმწიფოს გეზისა, მიზნისა, და საშვალებებისაგან.

პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე, როცა ირჩეოდა საკითხი ომის შეჩერებისა სომხეთთან, ეს განსხვავება, ეს გაყრება სახელმწიფოებრივობის შეგნებისა—მეტათ ნათელი და აშკარა შეიქნა.

სახელმწიფოებრივობის ერთი ტიპს, წმინდა ბურჟუაზიულს, მაგრამ ნაციონალისტურ იდეოლოგიის მანტიაში დიდის ხელოვნებით გახვეულს, იცავდა ბ. სპ. კედია.

მეორეს, დემოკრატიულ ხაზს, თავის ჩვეულებრივის ღრმა ანალიზით და გამსჭვრეტელობით ახასიათებდა მთავრობის თავმჯდომარე ამხ. ნ. ჟორდანია.

სპ. კედიას სიტყვის პირველი ნახევარი—(მეორე იყო სრული უტაქტობა და პარტიული ცინიზმის წინაშე ერის ინტერესების სრული დავიწყება, კიდევ მეტი, ის იყო ნებსითი თუ უნებლიეთი ცდა მტრისთვის ხელში იარაღის მიცემის) იყო გამომეტყველება ბურჟუაზიულ ნაციონალისტური მიზნებისა და საშუალებების ომის საკითხში.

ომი, ეს სისხლიანი გამოცდაა სახელმწიფოების და იმავე დროს გამოცდა და გამოაშკარავებაა მათი დაფარული ზრახვების და საქმიანობის უნარის.

და ომის საკითხზე ყველაზე ნათლათ სჩანს ეს განსხვავება ნაციონალისტურ სახელმწიფოს და დემოკრატიულ რესპუბლიკის იდეებს შორის.

პირველისთვის ომი უდიდესი და უპირველესი იარაღია დავის გადასაჭრელათ, ერის ღირსება ამით აღდგინება, ერის დიდება ხიშტის წვერზე შენდება, მეზობლებთან ურთიერთობაც ამ ძალის მიხედვით სწყდება. ამიტომ მისი ლოზუნგია: „ვაი დამარცხებულთ“. სულ სხვაა დემოკრატიული რესპუბლიკა მუშათა კლასის მეთაურობით. ამ უკანასკნელის მიზანია მშვიდობიანობის დემოკრატიული საფუძველის გამაგრება. დემოკრატიული საფუძველი კი ერთა, უკეთ ყველა ერის დემოკრატიათა სოლიდარობის განმტკიცებაა და არა ხიშტის წვეტიანი ბოლო, გინდ ზარბაზნის გამანადგურებელი გრიალი.

ამიტომ პირველი აძლევს უპირატესობას ხმალს, მეორე—დემოკრატიის სათანადო მომზადებას. პირველი, ამიტომ მზათ იყო სამართლიანათ ეცნო ომის და სისხლის განგრძობა, როცა შეიძლებოდა სადაო კითხვების სხვა, დემოკრატიული საშუალებებით გადაჭრა. დემოკრატიისთვის კი ომი უკანასკნელი, იძულებითი ზომაა, დამხმარე, დამატებითი სხვა საშუალებათათვის.

მიზანი პირველის—ომის შედეგებით სარგებლობაა შინ და გარეთ: შინ შოვინიზმის გაძლიერებლათ, რომელსაც ჰქმნის სისხლის ბურანი, გარეთ—სხვის დასამონებლათ, რომელსაც იძლევა იარაღით გამარჯვება. დემოკრატია შორს დგას სხვის დამონებისადმი მისწრაფებისაგან, იგი შორს დგას შინ შოვინიზმის გაძლიერების სურვილისაგან.

იგი, როცა ომობს, მაშინაც სურს და ილვწის დემოკრატიზმის შესანარჩუნებლად, სცდილობს დემოკრატიათა შორის ხიდი არ ჩატყდეს და პირველ შესაძლებლობისთანავე მზათაა ხმალი ქარქაშში ჩააგოს, თუ კი მოწინაამდეგის შოვინიზმი და ბოროტი მისწრაფებანი არ აიძულებენ მის განგრძობას. ასეთია საერთო ტენდენცია ამ ორი სახელმწიფოებრივობის.

სახელმწიფო ომის და სახელმწიფო ზავის,—მშვიდობიანობა შეიარაღებული თოფ-ზარბაზნებით—(რაც იგივე სტატიკური (გაჩერებული) ომია) და მშვიდობიანობა ალჭურვილი ერთა და დემოკრატიათა სოლიდარობის ძლიერებით—აი ორი დამახასიათებელი ძირითადი თვისება და დასაბამი ამ ორი სახელმწიფოებრივი ფორმაციის.

პირველია სახელმწიფო იმპერიალისტური თავის არსებით, სულ ერთია დიდია თუ პატარა, მეორეა სახელმწიფო ანტიიმპერიალისტური, დემოკრატიული მთელი თავის არსებით, ახალი, უჩვეულო ბურჟუაზიისათვის და ბურჟუაზიული ძალმომრეობისათვის.

აი ეს ორი პრინციპი იბრძოდა შაბათს და კვირას პარლამენტის სხდომებზე. დანარჩენი შენიშვნები ინგლისის და მოკავშირეთა ჩარევაზე, ჩვენი მთავრობის პასუხზე ამ ჩარევის გამო და სხვა, ეს ყველა მხოლოდ ილუსტრაცია იყო ამ პრინციპების გამოყენებისა ცხოვრებაში. და კამათმა, თვით სინამდვილემ, ფაქტებმა, შედეგებმა ამ ფაქტებით გამოწვეულმა, დაამტკიცეს სრული სიმწიფე და ნამდვილი, რეალური სახელმწიფოებრივობა დემოკრატიული გზის და დემოკრატიული აღმშენებლობის.

ის, რაც აქამდე ბურჟუაზიისთვის და მის ამყოლთათვის მიუღებელი იყო და ფანტაზიათ ტლარებული, დღეს ცხოვრების სიღრმეში, რთულ საერთაშორისო პირობებშიაც კი სრულიად გამარჯვებული გამოვიდა. დემოკრატიულრესპუბლიკანურმა შემოქმედებამ დაიჭირა გამოცდა საუცხოვოთ და გვიჩვენა ახალი გზის და ხიდის სიმტკიცე არა თუ შიგნით წესრიგების აღდგენაში, თვით იმ დროსაც კი, როცა მსოფლიოს დიდი ნაწილი ჩვენს გარშემო ანარქიის წარღვნას განიცდის, არამედ საგარეო ურთიერთობაშიაც, როცა ნაციონალისტური სისინი, ავანტიურისტული მუხანათობა და ათასი სხვა იმპერიალისტური ინტერესები გარს ეხვევიან ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას ჩასაყლაპავათ.

ამ მხრივაც თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, საქართველოს შეიარაღებულ ძალას ჰყავს მთავრობა, რომელიც არც ერთ წვეთ სისხლს თავის მოქალაქისას არ გასწირავს უმიზნოთ, დემოკრატიის და ხალხის უსარგებლოთ და მით უმეტეს მათ საზიანოთ.

ბურჟუაზიული ომები ყოველთვის გამარჯვებულია ბურჟუაზიის დალხინებით და ხალხის ყველგან კვნესით თავდება (გამარჯვებულსა და დამარცხებულ ქვეყნებშიაც); დემოკრატიის ომიდან გამარჯვების ნაყოფს დემოკრატია იღებს თავისთვის და დამარცხებულშიაც ცდილობს დემოკრატიას, რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიაყენოს. და ეს გზა—გზა დემოკრატიული ერთად-ერთი გზაა—ნამდვილი დამცველი იმ რესპუბლიკის, რომელიც შვა რევოლიუციამ და რომელიც რევოლიუციის წმინდა იდეებს ემსახურება.

## ჩხრეკა-დაპატიმრების გამო

კვირას თფილისის ქუჩები არაჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა—მთელი დღის განმავლობაში მასიური ჩხრეკა-დაპატიმრებას ჰქონდა ადგილი. იჭერდენ სომხებს და ამიტომ ადვილათ მოიკიდა ფეხი ყალბმა ხმებმა სომხეთისა და საქართველოს ჯარებს შორის საომარ მოქმედების განახლების შესახებ.

ხმები საომარ მოქმედების განახლების შესახებ, რასაკვირველია, სრულიათ უსაფუძვლოა, მაგრამ თითონ მასიური ჩხრეკა დაპატიმრება ისეთი ფაქტია, რომელსაც შეუძლია ბევრნაირი გაუგებრობა შექმნას და არეკ დარევა გამოიწვიოს. ამიტომ საჭიროა ყოველი მოქალაქე ალიჭურვოს სიდინჯით და საქმის ვითარებას გულდასმით გაეცნოს.

რაშია საქმე?

მკითხველმა იცის, ჩვენს მთავრობას არ დაუკლია მეცადინეობა, რომ სომხეთ საქართველოს შორის უთანხმოება მშვიდობიანათ და მორიგებით გადაჭრილიყო. მაგრამ ამ მოლაპარაკების დროს სომხეთის მთავრობა თურმე ქურდულათ ემზადებოდა თავდასასხმელათ: ის ჯერ კიდევ ოქტომბერში შესდგომია ომის სამზადისს და მხოლოდ მოხერხებულ დროს ელოდა. ეს დრო კი, მისი აზრით, მაშინ დადგა, როდესაც ჩვენში მოკავშირეები შემოვიდენ.

ამავე დროს გამოირკვა ისიც, რომ სომხეთის მთავრობას დიდს დახმარებას უწევდა თფილისში მოკალათებული პარტია დაშნაკცელებისა, პარტია, რომელიც საქართველოს პარლამენტში ერთგულებას ეფიცებოდა საქართველოს რესპუბლიკას, ხოლო პარტიულ გაზეთებში მტრობასა და გათიშვას ქადაგებდა. მოღალატე პირები ისე შორს წავიდნენ, რომ მობილიზაციის მოწყობაც კი განიზრახეს ჩვენს წინაამდეგ სწორეთ მაშინ, როცა ჩვენს ტერიტორიაზე ქურდულათ შემოჭრილი ერევნის მთავრობა თფილისისკენ მოიწევდა და განადგურებას გვიქადდა.

# დღეს

**ფრონტზე დროებითი ზავი არ დარღვეულა. სომხის ჯარები თავიანთ საზღვრებისაკენ იხევენ.**

---

**არარატის რესპუბლიკის ქვეშევრდომ სომხებს თფილისში აპატიმრებენ.**

---

**სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის მომხრეთა რიცხვი დღითი დღე მრავლდება აჭარა-ქობულეთში ადგილობრივ ადმინისტრაციაში ქობულეთში ამ დღეებში ამ კომიტეტის მომხრენი აირჩიეს.**

---

**ბათუმში ქართველების მიტინგმა პროტესტი განუცხადა ინგლისელ გენერალ გუბერნატორს იმის გამო, რომ ის ადგილობრივი ადმინისტრაციის შედგენის დროს სათანადო ყურადღებით არ მოეპყრო არც ქართველ ქრისტიანებს და არც ქართველ მუსლიმანთა ინტერესებს.**

---

**ბელგიის მუშათა კონგრესი მხარს უჭერს მეთ ნხმების სახელმწიფოთა სოციალისტურ კონფერენციის მოწვევას. საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა კონგრესმა უარჰყო.**

---

**გალიციაში პოლონელებსა და უკრაინელებს შორის შეტაკებები ხდება.**

დღეს, მართალია, საომარი მოქმედება შეჩერებულია, მაგრამ არავის არ შეუძლია დაბეჯითებით თქვას, რომ სომხეთის მთავრობა კვლავ არ მიმართავს რაიმე ავანტიურას. ამიტომ თფილისის და საზოგადოთ მთელი საქართველოს ტერიტორიის გაწმენდა აუცილებელია: მთავრობას გადაწყვეტილი აქვს განსაზღვრულ ადგილას მოუყაროს თავი ყველა სომხეთის ქვეშევრდომთ, რომელიც სამხედრო ასაკისაა—ახალგაზრდებს თვრამეტიდან—ორმოცდა ხუთ წლამდე. ამ ზომის განსახორციელებლათ იყო მიმართული ის მასიური ჩხრეკა-დაპატიმრება, რომელსაც კვირას ჰქონდა ადგილი თფილისში.

თავისთავათ ცხადია, ეს ზომა სრულებით არ შეეხება იმ სომხებს, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომნი არიან და არც იმ სომხებს, რომელნიც, თუმცა სომხეთის ქვეშევრდომნი არიან, მაგრამ სასალდათო წლოვანობას არ ეკუთვნიან და არც რაიმე განსაზღვრული ბოროტ-მოქმედების ჩადენა ბრალდებათ.

იმედია, ჩვენი დემოკრატიის ყველა მოკეთე ანგარიშს გაუწევს საქმის ნამდვილ ვითარებას და არევ-დარევის მოსპობას ხელს შეუწყობს.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობა არ გადასდგამს ისეთს ნაბიჯს, რომელსაც ხალხის კეთილდღეობა არ ექნება მიზნათ დასახული. დარწმუნებული ვართ ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას სძაგს ყოველგვარი შემავიწროებელი ზომები, მაგრამ ხალხის კეთილდღეობა მისთვის უაღრესი კანონია და ამიტომ იძულებულია ის ასეთ სიმკაცრეს მიმართოს. და რაც უფრო ადრე აილაგმებიან მოღალატენი, რაც ჩქარა გაიწმინდება თფილისი, მით უფრო მალე დადგება ისეთი დრო, როცა არავითარი სასასტიკე საჭირო აღარ იქნება.

# სამუსლიმანო საქართველო

**ბათუმი, 4 იანვარი.** გუშინ დასრულდა ინგლისელების მიერ ბათუმის დაწესებულებათა ჩაბარება. ხელმძღვანელ ორგანოთ გენერალ-გუბერნატორმა დაარსა თავისთან საბჭო, რომელშიაც მიიწვია 2 ქართველი, 2 რუსი, დანარჩენი ერებისგან თითო წარმომადგენელი და ქართველ მაჰმადიანებისაგანაც ერთი, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველებში საერთოდ. მოხდა ამის გამო ქართველებში მიტინგი და ბათუმში ყრილობა. პროტესტთან ერთად დაადგინეს: ეთხოვოს გენერალ-გუბერნატორს ქართველ-მაჰმადიანთა წარმომადგენელთა რიცხვის გამრავლება. ამავე საქმის შესახებ ქალაქის საბჭომ დაადგინა ეთხოვოს გენერალ-გუბერნატორს, რომ ქალაქის საბჭოს წევრები ეროვნულ საბჭოს მიერ იყვნენ არჩეული და არა დანიშნულნი. ქალაქის თვითმართველობა მოკლე ხანში შეუდგება არჩევნებისთვის მზადებას. მიღებულია დროებითი მთავრობის დებულება ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნისა. გამგეობას ერთი თვის ვადა მიეცა ამომრჩეველთა სიების შესადგენათ. საჭიროა ამ ვადისათვის, ვისაც კი შეუძლიან ჩამოსვლა, ჩამოვიდეს. წასვლა-მოსვლის პირობები შეიცვალა, ყველასათვის გაადვილებულია.

**ოზურგეთი. 5 იანვარი.** გურიაში მომუშავე ქართველ მაჰმადიანთა განმანთავისუფლებელი კომიტეტის მოღვაწეობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა კავშირის იდეა მტკიცე ნიადაგს პოულობს ქობულეთსა და აჭარაში. ყოველ დღე მოდის ცნობები მაჰმადიან ქართველთა ამ ნიადაგზე დადგომის შესახებ. ამ დღეებში ქობულეთში გადატრიალება მოხდა. მთავრობის სათავეში მოექცნენ ამ იდეის მატარებელნი. ამასვე მოელიან სხვა დაბა-ქალაქებშიაც (ს. დ. ს.)

# ახალციხის მაზრის გლეხთა ყრილობა

ყრილობის მეორე დღე.

კრება გაიხსნა 2 იანვარს, 12 საათზე ყადირ-ალი-ოღლი გვარამაძის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში 1 კითხვათ სდგას სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების საკითხი. თეატრის დარბაზი სავსეა ხალხით. გლეხი-დელეგატები ამ კითხვისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ. ჯერ, სანამ სხდომა დაიწყებოდეს ჯგუფ-ჯგუფად სდგანან დარბაზში და ცხარე კამათი აქვთ. ყველა გმობს ბეგების პოლიტიკას, წყევლაკრულვით იხსენებენ მათ ბატონობას და სამუსლიმანო საქართველოს შემოერთების საკითხი გადაწყვეტილათ მიაჩნიათ. 12 საათზე ყადირ-ალი ოღლი გვარამაძე ხსნის კრებას. მოხუცი თავმჯდომარე სთხოვს დამსწრე დელეგატებს მეტის ყურადღებით მოეპყრან იმ დიდ კითხვას, რომელსაც შეუძლია ჩვენი ისევ საუკუნოების განმავლობაში დამონავება, თუ ის დემოკრატიის სასარგებლოთ არ გადაწყდა.

პირველ მომხსენებლათ გამოდის სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელ კომიტეტის წარმომადგენელი ყადირ შერვაშიძე. მოკლეთ, მარა შინაარსიანათ ახასიათებს სამუსლიმანო საქართველოს ტრაღიკულ მდგომარეობას. უხატავს გლეხებს იმ საშინელ სიბნელის და დაბეჩავების შედეგებს, რომელიც მათ გასაქანს არ აძლევს. აცარებს საქართველოს რესპუბლიკას მეზობელ ბურჟუაზიულ და რეაქციონურ ქვეყნებს და ამბობს, რომ, თუ სამუსლიმანო საქართველოს სურს განთავისუფლება მონობისაგან, თუ გლეხკაცობას უნდა მიიღოს ყველა ის ბედნიერება, რაც წილად ხვდა საქართველოს ხალხს, მაშინ ქართველმა მუსლიმანობამ თვალი უნდა მოაშოროს მის დამღუპველ სტამბოლს. ზურგი უნდა აქციოს ყველა რეაქციონერებს, ბეგებს და ხელი უნდა გაუწოდოს თფილისს, სადაც საქართველოს დემოკრატიის გული სძგერს, სადაც ხალხი თვით არის თავისი თავის ბატონ-პატრონი. (ორატორს გლეხები ხშირად აწყვეტინებდენ სიტყვას ტაშის კვრით. ყოველ წუთს გაისმის ხმები: „მართალია, მართალია“. ბევრი მათგანი ცრემლებს იწმენდდა).

შერვაშიძის შემდეგ ლაპარაკობს ჰაიდარ აბაშიძე, რომელიც ვრცელ სიტყვაში ყოველმხრივათ ასაბუთებს სამაჰმადიანო საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში დარჩენის აუცილებლობას. მისმა შინაარსიანმა სიტყვამ ყრილობის ოვაციები დაიმსახურა, მუსლიმან გლეხთა ტაშის კვრას საზღვარი არ ჰქონდა.

დასასრულ ამ კითხვაზე მომხსენებლათ გამოდის ლ. რუხაძე, რომელიც ასაბუთებს სამუსლიმანო საქართველოს ეკონომიურ, კულტურულ და გეოგრაფიულ კავშირს დანარჩენ საქართველოსთან. თუ თქვენ, მუსლიმანო გლეხებო, გსურთ, რომ თავისუფალი იყვეთ, თუ თქვენ არ გინდათ მსგავსათ აწყურის ზღუდეებისა ამართოთ კედლები მთელ საქართველოსა და თქვენ შორის, მაშინ უნდა ხელიხელ ჩაკიდებული იაროთ საქრისტიანო საქართველოსთან ერთად. თქვენ გეუბნებიან, რომ საქართველო სჯულს გამოგიცვლით და დაგიწყებთ დიენს, მაგრამ, აბა, მითხარით განა საქართველომ ჩაიდინა მსგავსი რამ იმისა, რაც ოსმალეებმა მოიმოქმედეს ახალციხის მაზრაში? ოსმალეთის ჯაშუშებმა და მოსყიდულმა ბეგებმა გაგძარცვეთ თქვენ, წაგართვეთ სარჩო-საბადებელი, მოგტაცეთ შვილები და როზგებით ბევრი მათგანი დაამახინჯა, ნაპარავი საქონელით და სასმელებით აავსეს მეჩეთები და ხალხი არ შეუშვეს თავის სალოცავში („მართალია, მართალია“! ისმის ხმები). თქვენ მოელოდით მათგან სინდისის დაცვას, მარა ეხლა რწმუნდებით, რომ თვით უსინდისო და მძარცველებს არ შეუძლიათ სცენ პატივი თქვენ სინდისს; ისინი, ვინც თქვენ დღემდე მუსლიმანობის დამცველებათ მიგაჩნდათ მუდამ ვაჭრობდენ თქვენი სახელით. თქვენ კარგათ იცნობთ ჯემალბეგ ხიმშიაშვილს. ალბათ გაგიგონიათ, რომ მამა მისმა უღალატა ოსმალეთს და ამისთვის რუსეთის მეფემ მას გენერლობა უბოძა. ეხლა კი, მისმა შვილმა უღალატა ქართველ ხალხს და სამაგიეროთ ოსმალეთმა ფაშობა უბოძა. ეხლა ის ხალხი, ოსმალეთის დამარცხების შემდეგ დაეძებს სხვა მფარველებს, კიდევ ახალ ჩინებს, ცდილობენ კიდევ გააგრძელონ ვაჭრობა თქვენი სისხლით („სიკვდილი მას“;—ისმის ხმა).

თქვენ, ახალციხის მშრომელო ხალხო, შედარებით ბედნიერი ხართ, რომ ყველაზე ადრე მოგეხსნათ მძიმე უღელი, თქვენი მფარველი დღეს საქართველოს დემოკრატიაა (გაუმარჯოს გურჯისთანს, „იაშასუნ გურჯი“—ისმის ხმები) მაგრამ, როცა თქვენ თავისუფალი ხართ, როცა თქვენთვის გამოანათა მზემ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ უბედური აჭარა-ქობულეთი, შავშეთი და არტაანი კვლავ ცრემლებში იხრჩობა. თქვენი ვალია, ახალციხის ქართველო მუსულმანებო, გაუწოდოთ მონობაში მყოფ ძმებს მეგობრული ხელი. თქვენ ეხლა ხიდი ხართ მთელ საქართველოსა და მუსლიმან საქართველოს შორის, ხიდი, რომელიც ჩვენმა მტრებმა, მოსყიდულმა ბეგებმა ჩატეხეს, მაგრამ ეხლა ისევ თქვენ, თქვენ მშრომელო ხალხო, გადევით, რათა საქართველოს დემოკრატიას შეძლება მიეცეს ამ ხიდის საშუალებით უშველოს მის მოძმეს დატანჯულ სამუსლიმანო საქართველოს (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ ლაპარაკობს სოფ. სვირის გლეხი მოლაყაჩი საფარ ოღლი თვალ-ცრემლიანი, აკანკალებულის ხმით. ის ანთხევს კრებაზე იმ შხამს, რომელსაც მოუწამლავს მთელი სიცოცხლე. „ჩვენ სიბნელეში აღვიზარდეთ, მშვენიერმა ქვეყანამ, რომელიც ზრდიდა საქართველოს საუკეთესო შვილებს, აღგვზარდა აი ეს მონები (ხელს იშვერს გლეხებზე). საუკუნოების განმავლობაში გვატარებდენ თვალახვეულებს და როცა კი მოვინდომებდით სინათლის დანახვას, ხელ-ფეხ შეკრული ჩაგვყრიდენ ხაკანში. შიში, ძრწოლა, აჩრდილი ცოლ-შვილის ამოხოცვის, როზგების და მუდამ მონობის უღელის ტარ ბის, თან დაგვყვებოდა ჩვენ. ყველაფერი, რაც კი შემოჰქონდათ ჩვენში განათლების სახელით, ნამდვილათ ჩვენი ბორკილები იყო. პირუტყვს გვეძახდენ და მას გვადერებდენ. ვინ იყო ჩვენი გამკითხავი! ბატონი და მეგი იყო მეფეც და ღმერთიც. მოგვწყვიტეს საქართველოს, რომ განმარტოვებულნი და სუსტნი კარგათ დავეჩაგრეთ, გადაგვაგვარეს, რომ დედას არ გაეგო ჩვენი წუხილი, ვერ მიმხვდარიყო ჩვენ ცრემლიან ვედრებას. ყველაფერი გამოიყენეს იარაღათ, რომ ადამიანობა წაერთმიათ. დღეს კი დაგვიდგა ბედნიერი დღე საქართველოს გამოღვიძებული ხალხი კისრულობს მუსლიმან-ქართველთა მონობის უღლის დამსხვრევას ძმებო, გლეხებო, ჩვენც მათ მხარში ამოუდგეთ და, როცა აჭარა-ქობულეთის, არტაანის და შავშეთის ღვიძლ ძმებთან გავიწვდით ხელს, ეს ხელი უნდა იყვეს პირველათ ყოვლისა ახალციხის მუსლიმან ქართველთა ხელი, რომელიც ერთი ხელით მთელ საქართველოს ჩაკვრია, ხოლო მეორე ხელით იწვევს სამუსლიმანო საქართველოს ჩვენთან შესაერთებლათ. გაუმარჯოს დიდ საქართველოს, გაუმარჯოს მუსლიმან „გურჯებს“ (ხანგრძლივი ტაში) გლეხების უმრავლესობას ცრემლებით აქვს სავსე თვალები.

ამის შემდეგ ლაპარაკობს შაქარ მუხლადოღლი, ყადირ ალი ოღლი გვარამაძე, გუსეინ ალი ოღლი, სოფ. არალის პატრი, რომელიც მეტად გრძნობიარეთ აწერს მუსლიმან ქართველთა მძიმე ხვედრს ოსმალეთში. მას მოჰყავს მაგალითები, როცა სამშობლოდან გადახვეწილი მუსლიმანი ქართველობა ისევ ილტვის სამშობლოსკენ. ყველა სიტყვებს ჰფარავდა ხანგრძლივი ტაში და ხმები: „გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლებას, გაუმარჯოს გურჯისტანს, იაშასუნ გურჯი“!

სამი საათის ცხარე კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო თითქმის მთელმა ყრილობამ მიღებულ იქნა რეზოლიუცია მოწოდების სახით სამუსლიმანო საქართველოსადმი, სადაც ყრილობა მოუწოდებს აჭარა-ქობულეთის, არტაანის და შავშეთის მუსლიმან ქართველობას საქვეყნოთ ხმამაღლა განაცხადონ საქართველოსთან შემოერთების სურვილი და მოიხსნან მძიმე უღელი.

ამის შემდეგ ერობის შემოღების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ყაჭეიშვილმა. ცხარე კამათის შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ყრილობამ მოხსენება ერობის შესახებ, გამოსთქვამს სურვილს საჩქაროთ შემოღებულ იქნეს ახალციხის მაზრაში საერობო თვითმართველობა. ვთხოვოთ მთავრობას დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული ზომები საერობო არჩევნის მოსაწყობათ, რაშიც გლეხკაცობა ყოველ მხრივ ხელს შეუწყობს მთავრობის წარმომადგენლებს“.

საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე მოხსენება გააკეთა პარლამენტის წევრმა გრ. ცინცაძემ. ამ საკითხის შესახებ ყრილობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ყრილობამ მოხსენება დამფუძნებელი კრების შესახებ ადგენს, რომ ახალციხის მშრომელი გლეხკაცობა თავის ინტერესების დასაცავად დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს მხარს დაუჭერს მუშების და გლეხების პარტიას და მთელი საქართველოს დემოკრატიასთან ერთად წარსდგება დამფუძნებელ კრებაში.

უკანასკნელ კითხვას გლეხთა სამაზრო კოოპერატივის დაარსებას გლეხები დიდის ყურადღებით მოეპყრენ. გადაწყდა მიენდოს ამ საკითხის საბოლოოთ გადაჭრა გლეხთა საბჭოს. დასასრულ სამაზრო გლეხთა საბჭოში არჩეულ იქნა 18 პირი, რის შემდეგ ყრილობამ მადლობა გადაუხადა ნაყოფიერი მუშაობისთვის ამხ. ლ. რუხაძეს და ყრილობა სრულ ექვს საათზე დაიხურა. დაუსრულებელი ტაშის კვრით და „გაუმარჯოს საქართველოს“ ძახილით დაიშალა ყრილობა. იქვე მყოფ მიწადმოქმედების მინისტრს ხომერიკს გლეხებმა კიდევ ერთხელ გაუმართეს ოვაციები.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

6 იანვარი.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ საერთო მუშათა კონგრესმა მხარი დაუჭირა შეთანხმების სახელმწიფოთა სოციალისტურ კონფერენციის მოწვევას და უარჰყო საერთაშორისო კონფერენცია.

ომსკიდან რუსულ დეპეშათა სააგენტოს აუწყებენ, რომ პერმის ფრონტზე ჩვენი ჯარის გამარჯვება ფართოვდება. ჩვენი ჯარი მდ. კამაზე გადავიდა და სდევნის მოწინააღმდეგეს, რომელიც გლაზოვის მიმართულებით გარბის. ჩვენ წამოვიყვანეთ 31000 ტყვე. ხელთ ვიგდეთ ცხენები, ტრანსპორტი და სხვა. აგრეთვე ხელთ ვიგდეთ ბოლშევიკების დოკუმენტები. მტერს გავუნადგურეთ 10 პოლკი. ბოლშევიკების მე 5 არმიას, რომელიც ჩვენ ფრონტზე მოქმედ ბოლშევიკთა ჯარების მესამედ ნაწილს შეადგენდა, ბრძოლის უნარი სრულიად მოუსპეთ.

**ბოლშევიკების ცნობები.**

პარიზიდან იუწყებიან, რომ ვილჰელმი მოკლეს. ბელგიის სენატში ვანდერველდემ განაცხადა, რომ გერმანელები უნდა განიდევნონ ბელგიიდან. **ვარშავა. 1 იანვარი.** ლვოვიდან პოლონელთა შტაბის ცნობით უკრაინელებსა და პოლონელებს შორის შეტაკებაა. **კიევი.** 31 დეკ. ქალაქში გამოცხადდა საალყო წესები. დაარსდა საველე სასამართლო, რომელმაც უნდა გაასამართლოს ის პირნი, რომელნიც დირექტორიის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდენ. დირექტორიამ ნება დართო განახლდეს დახურული გაზეთების „კიევსკაია მისლ“-ის და „ნაშ პუტ“-ის გამოსვლა. სევასტოპოლიდან იუწყებიან, რომ ინგლისელთა ყარაულებზე შეიარაღებულ თავდასხმას ახდენენ. ნაუენი. 4 იანვარი. დანციგში მოვიდა ამერიკის 2 კრეისერი.

# ბრძოლის ველი

(სამხედრო შტაბის ცნობა)

6 იანვარი.

ქალაქში ბოროტ-გამზრახველთა მიერ გავრცელებული ხმების გამო სამხედრო საველე შტაბი აცხადებს, რომ ფრონტზე დროებითი ზავის დარღვევის მაგალითი არ ყოფილა არც ერთის მხრით. სომხური ჯარის ნაწილები დროებითი ზავის პირობების თანახმად წესიერათ იხევენ თავიანთ საზღვრებისაკენ.

# ახალი ამბები

უქმეების გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს 10 იანვარს.

◆ **საქალაქო არჩევნებისთვის.** ქალაქის აღწერა უკვე დამთავრდა, გრძელდება ამომრჩეველთა სიების შედგენა. ვინც სიაში არ მოხვედრილა უნდა მიმართოს ცენტრალურ ბიუროს (სომხის ბაზარი № 62) ამასთანავე ყველამ, გარდა ქართველებისა, უნდა ჰქონდეს მოწმობა ქვეშევრდომობისა.

◆ **სომხების შეპყრობა.** გუშინწინ თფილისში მრავლათ შეიპყრეს სომხეთის რესპუბლიკის ქვეშევრდომი სომხები.

◆ **სომხეთიდან საგანგებო მონდობილობით ჩამოვიდნენ** სომხეთის პარლამენტის წევრები: ტერ ხაჩატურიანი, ხონთქარიანი, მამაკონიანი და ს. ხაჩატურიანცი.

◆ **ქ. ბახმუტში** მიმავალს, ან იქიდან დაბრუნებულს სთხოვენ შეიაროს სოც.-დ. პ. ცენტრალური კომიტეტში (გოლოვინის პროსპ. № 24) ან დარეკოს ტელეფონი № 3—67 და ეკითხოს ცისკარიძე.

# სომხეთის მთავრობა და რუსები

რუსეთის გაზეთებში ხშირათ შეხვდებით სომხური ინფორმაციით მოწოდებულ ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ „ბარბაროსულათ“ ეპყრობა საქართველოში მცხოვრებ რუსებს საქართველოს მთავრობა.

როგორ ეპყრობა სომხეთის მთავრობა არარატის რესპუბლიკაში მცხოვრებ რუსებს?

3 იანვრის „ტიფ. ლისტ.“ მოთავსებულია ერევნის და განჯის გუბერნიებში არსებული რუსთა სოფლების წარმომადგენელთა ყრილობის ანგარიში: ყრილობა მოხდა 8—9 დეკემბერს დელიჟანში. სხვათა შორის, ამ ანგარიშში შემდეგს ვკითხულობთ:

„მისალმების შემდეგ წაიკითხეს ზოგიერთი ადგილები იმ მოხსენებებიდან, რომლებიც წარმოდგენილი იყო ადგილებიდან; დამსწრეებზე მეტის მეტათ მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა გამოქვეყნებულმა ცნობებმა. წარმოუდგენელის სიტლანქით და უზრდელობით ეპყრობიან ადმინისტრაციის და სამხედრო უწყების წარმომადგენელნი რუს მცხოვრებთა ამომრჩეულებს და საერთოთ მეტათ მძიმე პირობებში უხდება ცხოვრება რუსებს.

„სურსათის საკითხი მეტად გამწვავებულია. სომხეთის მთავრობის მიერ სურსათის რეკვიზიციას ბოლო არ უჩანს. სარეკვიზიციო ფასები მეტად მცირეა. კარტოფილს 16—20 მანეთი ფუთი, ხორბალის—33 მ. 33 ½ კაპ. ფუთი, იმ დროს, როცა სომხეთის მთავრობა ჰყიდის ხორბალს 60 მანეთად ფუთს.

„სიტყვიერ შეურაცყოფაზე, რომ არ ვილაპარაკოთ, რუსებს სცემენ იმიტომ, რომ მათ თავიანთი ნაქურდალი ცხენები აღმოაჩინეს ესკადრონში, ან ჯარისკაცები დააკავეს ნაქურდალი კარტოფილით. ყრილობაზე აღნიშნულ იქნა დელიჟანის სამაზრო კომისარის იბრაგიმ ბეკის აღმაშფოთებელ მოქმედებაზე, რომელსაც მცხოვრებნი 4 ბოძზე მიეკრა ხელებითა და ფეხებით. აღშფოთება გამოიწვია აგრეთვე იმ ცნობამ, რომ რუსთა საბჭოს რაიონის თავმჯდომარეს პუელიაკოვს სცემა სომხური დივიზიის უფროსმა ჰდრომ. დააპატიმრა პუელიაკოვი, უწოდა მას პროვოკატორი იმის გამო, რომ პუელიაკოვმა თავის ამომრჩევლების ინტერესები დაიცვა.

„ყრილობამ ამის გამო დაადგინა მიმართოს სომხეთის პარლამენტის წევრს ზორიანს, რომ დანიშნულ იქნას საქმის გამოსაძიებლათ საპარლამენტო კომისია.

„როცა სწავლა-განათლების საკითხს შეეხო ყრილობა, აღნიშნულ იქნა, რომ დელიჟანში რუსების სკოლის შენობას რეკვიზიცია გაუკეთეს საავადმყოფოსთვის, სომხური შკოლა კი ამ დროს მოქმედებდა და სხ.

რუსეთის ის გაზეთები, რომლებიც ქართველების გაუტანლობაზე სწერენ ყოველ ნომერში, სომხეთის რუსებისადმი ამ გვარ „მეგობრობაზე“, რა თქმა უნდა, კრინტს არ დასძრავენ.

# ფოთი

4 იანვარი.

ქალაქის არჩევნები თებერვლის პირველ რიცხვებში შესდგება. ამომრჩეველთა სიების შედგენას შეუდგებიან 15 იანვარს.

3 იანვარს ღამე ჩამოვიდა ინგლისელთა რაზმი, 600 კაცისაგან შემდგარი. მოელიან კიდევ ახალ რაზმებს. რაზმი თფილისს მიემგზავრება.

აქ ცნობები მოვიდა, ვითომც კრონშტადტი მოკავშირეებს აეღოთ. ყირიმსა და უკრაინაში ფულის კურსი შემდეგია: მანეთი ღირს ერთი ფრანკი.

ნოვოროსიისკიდან იუწყებიან, რომ ეკატერინოდარში ყუბანის მთავრობის განკარგულებით დაუკეტიათ მოხალისეთა ჯარის მონარქიული მიმართულების გაზეთი „როსსია“, სტამბა კი დაბეჭდეს.

# საქალაქო არჩევნებისთვის

**გენერალ გუბერნატორის განცხადება.**

ვაცხადებ თბილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ვინაიდან ახლო მომავალში დანიშნულია ქალაქ თფილისის თვითმართველობის ხმოსნების არჩევნები, ჩემ მიერ ნებადართულია მოქალაქეების კრებები წინასწარ საარჩევნო თათბირისთვის და ხმოსანთა სიების შესამუშავებლად.

მილიციის მოხელეებს ევალებათ არავითარ შემთხვევაში არ შეუშალონ ხელი მოქალაქეებს ზემოთ აღნიშნულ კრებების გამართვაში და ამასთანავე, ეკრძალებათ დაესწრონ უკანასკნელს და მით უმეტეს, მიიღონ მასში რაიმე აქტიური მონაწილეობა.

გენერალ გუბერნატორი **შ. მაღლაკელიძე**
4 იანვარი 1919 წ. თფილისი.

# საქართველოს პარლამენტი

4 იანვრის სხდომა.

**თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.**

დღის წეს-რიგშია გაგრძელება მსჯელობის საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენების გამო.

**გ. ვეშაპელი.** ბატონებო, ის მოხსენება, რომელიც წარმოადგინა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ეხება ომის ლიკვიდაციის საკითხს. ყოველივე ომი არის ისეთი აქტი, როდესაც სასიცოცხლო ინტერესები ისახება, რაიმე განსაზღვრულ მიზანს ემსახურება. ომი ყოველთვის ორნაირად გათავდება ხოლმე—ან დამარცხებით, ან გამარჯვებით. და გვსურს გავიგოთ, როგორ უყურებენ ამ ლიკვიდაციას. ჩვენის აზრით, ეს ლიკვიდაცია არ არის გამარჯვება: ომი სომხეთმა დაიწყო და მიზანიც მათ დაისახეს. საქართველომ განიზრახა, რომ საბოლოვოთ მოსპობილიყო ლტოლვილება სომხებისა, უნდა განდევნილიყო მტერი საქართველოს ტერიტორიიდან. საქართველომ ამ მიზნის განსახორციელებლათ ბევრი ძალა დახარჯა და უნდა გვეხილოთ რით დაბოლოვდა ომი? ქართველი ჯარი არა სდგას იქ, როგორიც იყო statu quo ante bellum. ეს ლიკვიდაცია არ არის ჩვენთვის ხელსაყრელი. შეპირება, რომ სომხის ჯარი დაიხევს, ეს ქაღალდზე დარჩა და სინამდვილეში არ განხორციელდება. საქართველო არ ელოდა ასეთ ლიკვიდაციას, რომელიც გამოიწვევს რეაქციას. ომის ასეთ დაბოლოვება ჩვენი დიპლომატიის სისუსტეს მიეწერება. საქართველოს არსებობას ყოველთვის ექნება საფრთხე, თუ მას არ ექნება

# ამხანაგებო და მოქალაქენო!

თფილისის მცხოვრებთა ხღწერა დასრულდა. ვინც სიაში შეტანილი არ არის, თითონ უნდა მოიკითხოს საუბნო კომიტეტში და ჩააწერინოს თავი. მოქალაქენო, ნუ დაჰკარგავთ ხმა საქალაქო მომავალ არჩევნებში. მიდით და გაიგეთ საუბნო კომიტეტებში—ხართ შეტანილი სიაში თუ არა.

ბუნებრივი საზღვრები... მინამდის ჩვენი მიზანი სავსებით არ იქნება განხორციელებული, ამ ორ ერს შორის არ იქნება არავითარი სოლიდარობა და ასეთი ინციდენტები ხშირი იქნება. ომი იყო პოპულიარული, რადგანაც ხალხმა გაიგო, რომ ეს იყო საქართველოს ბუნებრივი საზღვრების დაცვა, დედა-ქალაქის შენარჩუნება.

ორატორი აღნიშნავს, რომ იშვა ახალი ძალები, რომლებმაც განიზრახეს საქართველოს მთლიანობის დაცვა და ამ ახალ ძალების შიში აღიძრათ ჩვენ მთავრობას, რამაც აიძულა სოც. დემ. მთავრობა დაყაბულებულიყო ომის ასეთ ლიკვიდაციას.

**ს. კედია.** როდესაც ომი გამოცხადდა, ყველა ერთსულოვნათ ამოუდგა გვერდში მთავრობას. ესმოდა ყველას, რომ ახალი საქართველო დაიმარხებოდა, თუ ყველა მამულიშვილი მთავრობასთან არ იქნებოდა. ჩვენ ყველანი, მთელი ჩვენის არსებით, მთავრობასთან ვიყავით. დღეს, როდესაც ომი შესწყდა, უნდა გადავხედოთ და გავითვალისწინოთ, რა მოხდა და უნდა ვაღვიაროთ, რომ ის, რაც მოხდა, არ გვაკმაყოფილებს ჩვენ. უნდა განვაცხადოთ, რომ სიმართლეს მოკლებულია ის აზრი, რომ ვითომ ჩვენ გვწყუროდეს სისხლი, კაცის შმიები ვიყოთ. ჩვენ სომხის ხალხს არ ვებრძვით, მაგრამ ჩვენ არ დაუშვებთ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე სხვა ერის ნაციონალური ზრახვანი და მიმდინარეობა მეფობდეს. ყველამ იცოდა, რომ ომის წინ საშინელ აგიტაციას აწარმოებდენ საქართველოს წინააღმდეგ, „ორიზონი“, „ახშატავორი“ ამტკიცებდენ, რომ ბორჩალოს მაზრა და ახალქალაქი სომხეთის კუთვნილება უნდა იყოს. თქვენ იცოდით, რომ ისინი შეურიგებელი მტრები იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლების და თავის მიზნების მისაღწევად ხიდების აფეთქებასაც აწყობდნენ. ყოველივე ეს ხდებოდა ჩვენს დედაქალაქში და მთავრობას ამისთვის ყურადღება უნდა მიექცია. მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე სადავო კითხვები მორიგებით და არბიტრაჟით გათავდებოდა და საომარი სამზადისის სულაც არ სწარმოებდა. თვით ომის დაწყებისასაც გვიან გამოცხადდა მობილიზაცია. მაგრამ ომმა მიიღო ფართო ხასიათი, მასში ყველა იღებდა მონაწილეობას, დაიბადა ახალი საქართველო, რომელსაც სურდა თავისი მიწა-წყლის დაცვა. ეს იყო ისეთი აქტი, რომელიც არ ახსოვს ისტორიას და რომელსაც ფაქიზი მოვლა უნდოდა: თუ ჩვენ ინგლისი ამ ზღვას ძალით მოგვახვევდა, ჩვენ გულის წუხილით მივიღებდით ამას. მაგრამ ეს ასე არ არის. თუ ინგლისის მისია მოითხოვდა, რომ თუ არ შეგვესრულებინა მისი თხოვნა იგი ძალით მოგვახვევდა, მაშინ მთავრობას უნდა ეცნო ეს პარლამენტისთვის, ხალხისთვის, რომელიც, მგონია, ამას არ დასთანხმდებოდა. დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ ამ ომმა ბევრი ხარჯები გამოიწვია და მისი ანაზღაურებისათვის მთავრობამ ზომა არ მიიღო და საზავო პირობებში ამაზე არაფერია ნათქვამიო.

სიტყვა ეძლევა მთავრობის თავმჯდომარეს.

## მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვა.

მოქალაქენო! თქვენ მოისმინეთ ოპოზიციის ორატორების სიტყვები, რომლებმაც სასტიკი განჩენი გამოუტანეს მთავრობას.

მათ სთქვეს, რომ მთავრობამ ჩაიდინა დიდათ სასირცხვო და საზარალო საქმე. მათ აქ წარმოსთქვეს მთელი ფილიპიკა ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენი პირობები, რომელიც იქმნა დადებული 25 დეკემბერს, მათ გაატარეს სასტიკ კრიტიკაში. მაგრამ მე ერთს ვიკითხავ აქ: სად იყვნენ ეს ფრაქციები და ის პირები, რომლებიც აქ გამოვიდნენ მაშინ, როცა ჩვენ ომს პირობებს 25 დეკემბერს ხელს ვაწერდით? ისინი იყვნენ სწორედ იქ და მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ამ პირობების შემუშავებაში. (ხმები ეროვნულ დემოკრატების მხრივ: ტყუილია!) ბატონი გვაზავა იქ იყო (ხმაურობა).

**თავმჯდომარე.** უკაცრავად, გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ. პარლამენტის წევრო, მიხეილ მაჩაბელო უწორჩილესად გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ. (ხმაურობა მარცხნივ) (მ. მაჩაბელი. იმათაც სთხოვეთ!)

**თავმჯდომარე.** გთხოვთ ბატონო მაჩაბელო ნუ მასწავლით, რადგანაც მეც გამეგება ჩემი მოვალეობა. კეთილ ინებეთ და დამშვიდდით. (მთავრობის თავმჯდომარეს) გთხოვთ განაგრძოთ.

**ნ. ჟორდანია.** მოგახსენებთ, 25 დეკემბერს მთავრობას ჰქონდა სხდომა ფრაქციათა წარმომადგენლებთან ერთად და სწორედ ის ხელები, რომელიც აქ ტაშს უკრავდნენ ბ-ნ კედიას, რომელმაც თავის ხმათიც აჩუქა, რომელიც ალო ბ-ნმა გვაზავამ, სწორედ ეს ხელები იყო, რომელმაც შეიტანა შესწორება.

**გ. გვაზავა** (ფეხზე დგება). არ არის მართალი, არ არის მართალი, არ არის მართალი!

**თავმჯდომარე.** ბ-ნო გვაზავა! კეთილ ინებეთ და დაბრძანდით. ნუ მაიძულებთ შენიშვნა მოგცეთ.

**ნ. ჟორდანია.** ჩვენ გისმენდით, თქვენც მოგვისმინეთ.

**გ. ვეშაპელი.** ჩვენც ვიყავით ბ-ნო თავმჯდომარევ?

**ნ. ჟორდანია.** ბ-ნი ვეშაპელი იყო წინა კრებაზე და არ წარმოუდგენია არც ერთი საბუთი იმისა, რომ არ შეგვეწყვიტა ომი, არ მიგვეღო ესა თუ ის პირობები. (ვეშაპელი: როდის?) სწორედ, რომ ამ პალტოში იყავით და იღებდით მხურვალე მონაწილეობას წინა კრებაზე. (გ. ვეშაპელი. სცდებით ბ-ნო!) მე ძალიან კარგად ვიცი, რომ იქ ბრძანდებოდით და იღებდით მონაწილეობას.

მოგახსენებთ მთავრობას არ გადაუდგავს ისეთი ნაბიჯი, რომელიც არ სცოდნოდეს წინდაწინ ფრაქციებს, მათ წარმომადგენლებს და მათი წინააღმდეგობა, მათი პროტესტი მოისმინა მთავრობამ, მხოლოდ დღეს. (რ. გაბაშვილი: გაზეთებში იწერებოდა). ბ-ნო, მხოლოდ გუშინ იყო გაზეთებში, თუმცა გუშინდლამდე თქვენ იცოდით და ყველა ეს თქვენი მონაწილეობით ხდებოდა. (გ. ვეშაპელი: რად დაკეტეთ „კლდე“ პირველად?) აქედან ცხადია, ბატონებო, რომ თუ, რომელიმე ფრაქციას შეუძლიან აწარმოვოს ორი პოლიტიკა იმის და მიხედვით, თუ სად იმყოფებიან, რომელ ოთახში, ერთი ჩვენს კაბინეტში და მეორე აქ, ცხადია, რომ სულ სხვა მოსაზრებით ლაპარაკებით მათ (ტაში. ხმა: მართალია) და არა ის მოსაზრება, რომელსაც ადგებიან ისინი მთავრობის კაბინეტში (ტაში) აქ ოპოზიციას სურს ისარგებლოს შემთხვევით და თავის პარტიული კაპიტალი ეხლა მაინც მოაგროვოს. (ს. კედია: ეხლა არის Patria და არა პარტია!) დიახ, ბ. კედიას სიტყვაში არ ყოფილა არც ერთი სახელმწიფოებრივი მოსაზრება. (ს. კედია. თავიდან ბოლომდე, ბ. თავმჯდომარე) (თავმჯ., უკაცრავად, უკაცრავად.) ბ. კედიას სურს, რომ მე მოუყვანო იმის საბუთი, დიახ, ამასაც მოვიყვან. ბ. კედიამ აქ სთქვა, რომ შესაძლებელი არის მიგვეღო ასეთი პირობები იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ინგლისი ან საფრანგეთი ულტიმატუმს წამოგვიყენებდენ. აქედან სჩანს, რომ ბ. კედიას სურვილია, რომ ასეთ პირობებში ულტიმატუმის სახით სხვა უცხო ძალას ჩვენთვის თავზე მოეხვია. თქვენი მთავრობა ამას არ იზიარებს. ის ამბობს, რომ ჩვენ ვართ მთავრობა სუვერენული და არავითარ ულტიმატუმებს არ მივიღებთ, ბ. კედიას მოსაზრებიდან სჩანს, რომ ჩვენ ყოველთვის, მე ვგულისხმობ მთავრობას — ჩვენ უნდა მივიღოთ, თურმე ბრძანება, და, ამ ბრძანების მიხედვით, გადავდგათ ნაბიჯი. მე გეკითხებით თქვენ: არის ამაში რაიმე სახელმწიფოებრივი მოსაზრება? არა ბატონებო. თუ დღეს მივიღეთ ერთი ულტიმატუმი ერთ საგანზე, ხვალ—მეორე საგანზე, ზეგ—მესამეზე—ეს იქნება არა დამოუკიდებელი მთავრობა, არამედ იქნება მთავრობა დამოკიდებული, სხვის უფლებაში, სხვის პროტექტორატში ჩავარდნილი. ასეთია, ბატონებო, ჩვენი აზრი ერთის მხრივ, და ამ ფრაქციის აზრი—მეორეს მხრივ. გარდა ამისა, თქვენ მოისმინეთ ბ. კედიას კომენტარიები, ისეთი კომენტარიები, რომლებიც ამ ტრიბუნიდან არ უნდა წარმოედგინა, თუ ავტორი ამ კომენტარიებისა ხელმძღვანელობს მართლა სახელმწიფოებრივ მოსაზრებით. მან წინდაწინ აქედან გამოაცხადა, რომ ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრები ჩვენთვის დაკარგულია, ამას ჩვენ არ მოგვცემს პარიზის კონფერენცია. მე მგონია, რომ ამ ტრიბუნიდან ითქმოდა სულ წინააღმდეგი. მე მგონია, რომ ის, რაც მოხდა, სრულიად არ სპობს ჩვენს უფლებას. დღემდის ვფიქრობდი, ბ-ნ კედიას ასულდგმულებდა მარტო ინტერესი სახელმწიფოებრივი და არა მარტო პარტიული. ეს დღეს არ დამტკიცდა. მან სთქვა ისეთი აზრი, ის აძლევს წინასწარ ჩვენ მტრებს ისეთ ახალ საბუთებს, რომ იმათ შეუძლიათ სთქვან, რომ თუ კი პარლამენტის წევრი საქართველოსი ამ აზრისა არის, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენც ამ აზრისა უნდა ვიყვეთ. ასეთი გახლავთ სახელმწიფოებრივი მოსაზრება ბ. კედიასი და იმ პარტიის, რომლის სახელით აქ ილაპარაკეს. აქედან თქვენ ჰხედავთ, რომ სრულიად ჩვეულებრივია, რომ ამ პირების წარმომადგენლები ერთს ლაპარაკობენ იქ და მეორეს აქ, (ერ. დემ.: თქვენი შეგირდები გახლავართ!). იმიტომ, რომ იქ, ასე თუ ისე, ეხვევიან სახელმწიფოს, თუ მთავრობის პასუხისმგებელ ქერქში, მაგრამ აქ მოდიან და ლაპარაკობენ არა სახელმწიფოსთვის, არამედ ამომრჩევლებისთვის, ე. ი. ისინი უყურებენ (ხმაურობა, ხმა: სირცხვილია! ვეშაპელი: საქართველოს პრეზიდენტი ასე ლაპარაკობს!) თქვენ ამბობთ, ბ. მაჩაბელი არ გახლდათ იქ, მაგრამ მისი მოციქულები გახლდნენ (ხმაურობა). (თავმჯდომარე: ბ. გვაზავა, ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ, კიდევ გთხოვთ. ბ. ვეშაპელო, რაკი თქვენ ჩემი თხოვნა არ გესმით, მე იძულებული ვარ, რომ შენიშვნა მოგცეთ). ეს, ბატონებო, გახლავთ ფრაქციის დამახასიათებელი, ასეთი გახლავთ ჩვენი ოპოზიცია და მე ვწუხვარ, რომ ასეთი სუსტი ოპოზიცია გვყავს ეხლა, გადავიდეთ კითხვის არსებითი მხარეზე, მართლაც დიდი დანაშაული ჩავიდინეთ? მართლა ღირსნი ვართ იმ განაჩენისა, რომელიც აქ დღეს გამოთქვეს? არა, ბატონებო! და აი საბუთები: აქ, ამ ტრიბუნიდან ვეშაპელმა სთქვა, რომ ჩვენი მთავრობის პოლიტიკა ილოურია, ის ხან ერთს ლაპარაკობს, ხან მეორეს; ერთს შვრება დღეს, ხვალ სხვას და ასეთი მიხტე, მსუბუქ ხასიათის პოლიტიკით სულდგმულობენო. აქ მან ისიც სთქვა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი, რაღაც ცალკე პოლიტიკას აწარმოებს. და თქვენ იცით, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი, ამ ფრაქციებმა აამოირჩიეს, ეს რამდენიმე ხანია, განსაკუთრებით. აქ, უნდა ვსთქვა, არ არსებობს საგარეო სამინისტრო, ან შინაგან საქმეთა სამინისტრო—არის ერთი მთავრობა, არის ერთი კაბინეტი. და ის, რაც კეთდება, საგარეო სამინისტროში, ის კეთდება საქმით მთელი სამინისტროებისა, მთელ მთავრობისა. არც მინისტრი არ აკეთებს თავის პირად პოლიტიკას, ეს მე მგონია, უნდა ცხადი იყოს იმისთვის, ვინც აქ ხშირად ლაპარაკობს საგარეო მინისტრზე (ვეშაპელი: სახლშიაც კი ლაპარაკობენ გეგეჭკორის პოლიტიკაზე!) დიახ, ბატონებო, ხალხი ლაპარაკობს, მაგრამ, თქვენ ხართ პოლიტიკური მოღვაწე, და უნდა იცოდეთ ცოტათ, რომ ამ პოლიტიკას (ხმაურობა: არა, ბატონო!) აი, მაშასადამე, რაც მოხდა საგარეო სამინისტროს პოლიტიკაში, იმის პასუხისმგებელი არა მარტო საგარეო მინისტრია, არამედ მთელი მთავრობა (გვაზავა: მართალია)! და ჩვენ ამას ვკისრულობთ შეგნებულათ, მთავრობას არა აქვს ისეთი ილოური პოლიტიკა, რომელსაც დღეს მას აწერდა ბატონი ვეშაპელი. ჩვენ ერთ ხაზზე ვდგევართ დიდი ხანია და ერთი პოლიტიკური მისწრაფება გვაქვს და ამ ხაზიდან ვერავითარი ძალა, ვერც გარეშე და ვერც შინაგანი ჩვენ ვერ ჩამოგვაშორებს. ჩვენ არ ავყვებით იმას, თუ რა გულისწყრომა, რა გრძნობა უღვივის ამა თუ იმ ფრაქციას, ამა თუ იმ პარტიას, ან თითონ ხალხის ნაწილებს. აქ დღეს ბატონ კედიას სიტყვაში უფრო მეტი იყო ეს გულისწყრომა, ვიდრე ლოღიკა. ჩვენ, ჩვენ საერთო ხაზს, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ და ვაწარმოებთ და აქეთ იქით არ უხვევთ, ამ ხაზს არ ვანაცვლებთ წუთიერ გამარჯვებას, ჩვენი ხაზი იცით თქვენ, იცის ოპოზიციამ, მაგრამ, როცა უნდა მაშინ ივიწყებს. ჩვენი მთავრობის ხაზი გახლავთ ის, რომ ჩვენ დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა და ამასთანავე დავიცვათ ჩვენი დემოკრატიული წყობილება. ყოველივე ის, რაც ამ ორ გარემოებას ხელს უშლის, ჩვენ ის არ გვინდა და იმისაგან შორს ვართ. და აი, რაც ჩვენ მოვიმოქმედეთ ამ ომის დროს, ან ეხლა, ამ საქმეში ვმოქმედებთ აი სწორედ ამ თვალთახედვის ისრით. და მთავრობა, დარწმუნებულია, ამ აქტით ვაძლიერებთ ჩვენ დამოუკიდებლობას და ჩვენ დემოკრატიულ წყობილებას. ბატონმა კედიამ სთქვა, რომ ჩვენ, ვითომ ჩვენი მოქმედებით გავაძლიერეთ პარტია დაშნაკცაკანებისა, რომ ჩვენ მათ ვარგუნეთ გამარჯვება. მაკვირვებს იმისი ასეთი დასკვნა, თუმცა თითონვე ამბობს, რომ პარტია დაშნაკელებისა ებრძოდა და ებრძვის არა მარტო ბორჩალოს მაზრისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა შეემუსრა და აქ მოსულიყო. თუ ეს მართალი აზრია ბატონ კედიას, მაშინ ცხადია, რომ ჩვენი მოქმედება ერთნაირად ჩაფუშავდა მათ ზრახვას და ისინი დიდად და დიდად დაშორდებოდენ ამ მიზანს. მე მგონია ბატონი კედია მართალია იმაში, რომ დაშნაკცაკანების პარტია ვერ ინელებს საქართველოს დამოუკიდებლობას. ამაში ვარ დარწმუნებული არა მარტო დღეს, არამედ დიდი ხანია. ამას ისიც ამტკიცებს, რომ ჩვენ ომის დაწყებამდინ, ვაწარმოებდით მოლაპარაკებას სომხეთის მთავრობასთან ამ ჩვენ საზღვრების დასაცავად; ჩვენ თითქმის საზღვრებზე შევთანხმდით, ოფიციალურ პირებთან გვქონდა მოლაპარაკება და ერევანში ოფიციალურად ჩვენ წარმომადგენელს იქაურ მთავრობასთან ჰქონდა ლაპარაკი და თითქოს ერთი და იგივე დასკვნას დავადექით. მაშასადამე ომი იმისთვის არ იყო საჭირო. არ იყო საჭირო ამისთვის, რომ აქ საზღვრების კითხვა გადაგვეწყვიტა. იყო საჭირო უფრო დიდი საქმისთვის; თუ ჩვენ და სომხების მთავრობა მოვასწრებდით შეთანხმებას, ეს ნიშნავდა, რომ სომხების მთავრობას უნდა ეცნო ჩვენი სახელმწიფო და ჩვენი დამოუკიდებლობა. ომი იყო საჭირო იმისთვის, რომ ეს არ მომხდარიყო ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი არსებული აქ წყობილება შემუსვრილიყო და ამითი განეხორციელებინად. ის, რასაც აქ სწერდენ ორიზონში და ახშატავორში. ამას, ვამბობ, არავითარი მტკიცება არ უნდა, ეს ისეც აშკარაა ყველასთვის. მაშასადამე, პოლიტიკა დაშნაკელებისა და სომხეთის მთავრობისა იყო მიმართული იმისაკენ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ასე თუ ისე შეებღალათ, მოეშალათ. ესე იგი, ისინი ებრძოდენ იმ ძალებს, იმ ხაზს, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ და ვიცავთ, შეიძლება ისინიც ფიქრობდენ, რომ თავის საშუალებით მიზანს ვერ მიაღწევდენ, მაგრამ ალბათ ფიქრობდენ დავინახავთ იმათ, ვინც აქ მოვიდენ, რომ ამიერ-კავკასიაში არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფოები იმიტომ, რომ მათ ექნებათ ჩხუბი და აყალ-მაყალი. აქტი ომიანობისა, ამ ორ მეზობელ ხალხთა შორის, უეჭველათ საბუთია იმისთვის, ვინც წინააღმდეგია ჩვენი დამოუკიდებლობისა. ეს იყო ერთნაირი პროვოკაცია იქიდგან წამოსროლილი და უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ არავითარი პროვოკაციას წინ არ წამოვეგებით და მას არ ავყვებით.. დაშნაკელების პროვოკაციის აყოლა იქნებოდა მათი საქმეების კეთება (მაჩაბელი: რაშია საქმე, გამაგებინეთ?) ბატონ მაჩაბელს არ ესმის მაღალი პოლიტიკა. იმიტომ რომ მიჩვეულია სულ სხვა, დაბალ პოლიტიკას (არსენიძე: მართალია). ბ. მაჩაბელს არ ესმის ეს იმიტომ, რომ არასოდეს პოლიტიკურ ასპარეზზე არ უმუშავნია და თავისთავათ ცხადია ეხლა, ამ ბოლო დროს, ეს ასპარეზი ისე ადვილი არ არის, რომ ის მან გაიგოს და შეიგნოს. (მაჩაბელი—ვაიმე, ვაიმე) მოითმინეთ ბატონებო, აქამდის ჩვენ გისმენდით (მაჩაბელი—მუშითიებს მემარცხენეებს—ესენი სულ პოლიტიკოსები არიან?) დიახ, ბატონებო, ისინი პოლიტიკოსები არიან იმიტომ, რომ 20 წელიწადია პოლიტიკურ ცხოვრებაში იწვიან, თქვენ კი ეხლა გამოდიხართ. (გაბაშვილი—პოლიტიკა მარტო ქუჩებში კი არ კეთდება) მარტო ბანკებში...

**თავმჯდომარე** უკაცრავათ. კიდევ იძულებული ვარ გთხოვოთ, რომ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ.)

**ნ. ჟორდანია.** ერევნის მთავრობის უმთავრესი მისწრაფება მიმართული იყო იქითკენ, რომ დაემტკიცებინა ინგლისელებისთვის, ფრანგებისთვის, მთელი ქვეყნისთვის, რომ აქ თუ დარჩა ან საქართველოს, ან სომხეთის დამოუკიდებლობა, ისინი მუდამ ომში იქნებიან და მაშასადამე ასეთი დამოუკიდებლობა უნდა იყოს მოშლილი და ეს ისე აშკარა საბუთი არის, რომ ჩამოსულმა ინგლისელმა გენერალმა პირდაპირ გვითხრა. „თქვენ ამბობთ, რომ თქვენ გინდათ დამოუკიდებელი საქართველო, ჩვენ ომი გავათავეთ, ამ ომში ჩვენ ამოდენა ხალხის სისხლი ვღვარეთ თქვენ კი ეხლა იწყებთ ომს და თავისთავად ცხადია, არ შეგიძლიანთ იქონიოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო. მმ. ეს ისეთი აშკარა ფაქტია, ეს ისეთი საბუთია, რომ ამ საბუთის წინაშე ვერავინ ფილიპიკებით და ლაპარაკით აქ ვერას გააწყობთ (ხმაურობა: ვეშაპელი ჯამალიანი).

**თავმჯდომარე.** მე კიდევ გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ, ბატონო ვეშაპელო, ხელმეორეთ შენიშვნას გაძლევთ.

— მე ურჩევ ბ. ვეშაპელს, რომ მან მიჰბაძოს ჯამალიანს და ისე დაიცვას თავისი მთავრობა, როგორც ის იცავდა ერევნის მთავრობას.

აქ ჩვენ გამოგვიცხადეს უკვე ოფიციალურათ და დღეს, გაგვიმეორეს სხვათა შორის, რომ ტერიტორიის საკითხი აქ არ გადაწყდება. გადაწყდება იქ პარიზში, თქვენი საზღვრები, სად იქნება ან თქვენი არსებობა,— ამას ვერც ომი გადასწყვეტს, ვერც ზავი, აიღეთ თქვენ, თუ გინდათ, ერევნის გუბერნია ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ დაგრჩებათ ერევნის გუბერნია. ან წაიღონ სომხებმა, რომელიმე მაზრა ან რომელიმე კუთხე, ეს არ ნიშნავს, რომ იმათ დარჩება. ამას საშუალება არის იქ პარიზში, აქ კი წარმოიდგინეთ ისეთი, თითქოს ჩვენ ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, რომ საქართველო და სომხეთი სწყვეტენ დამოუკიდებლათ თავის კითხვებს. ბატონებო, ეს ასე არ გახლავთ. საქმე ასე რომ ყოფილიყო, მაშინ, თავის თავათ ცხადია, ჩვენ შეიძლება სხვა გზა მოგვენახა, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. ჩვენი ხაზოლით სედ-მედი სწყდება იქ, მხოლოდ ჩვენ შეგვეძლიან აქედან გავაწარმოოთ ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეგვიწყობს იქ ჩვენი სედ-ბედის ჩვენ სასარგებლოდ გადაწყვეტას. აქ სთქვეს, ბატონებო, რომ ჩვენი იქაური დიპლომატია არ ვარგათ, მაგრამ იქაური, საგარეო დიპლომატია კარგიაო. საგარეო დიპლომატია ვერაფერს ვერ გააწყობს, თუ ჩვენ არ მივეცით საბუთი აქედან. თუ ჩვენ მოქმედებას, ჩვენ საქმიანობას, ჩვენ პოლიტიკას არ ექნება ისეთი საფუძველი, რომელზედაც დაემყარება აი აქ ჩვენი დიპლომატია და მე ვამბობ, რომ ომის საკითხი, ისე, როგორც ზავის საკითხი,—ჩვენ ამ კითხვას ვუმორჩილებთ პოლიტიკურ მიზნებს, თუ ეს საშუალება აძლიერებს თუ ასუსტებს ჩვენ სახელმწიფოს და მის დამოუკიდებლობის იქ ცნობას. მე ვამბობ, რომ ომის გაგრძელება იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, ეს ნიშნავს ჩვენი დამოუკიდებლობის ერთი ლახვარის ჩაცემას. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ აქ მართლაც საქმით დავამტკიცებთ, რომ ჩვენ არ გვეთმინება მშვიდობიანათ საქმის მოგვარება, ჩვენ არ შეგვეძლიან ჩვენი სახელმწიფოს მოვლა და სხვა მეზობლებთან ასე თუ ისე მეზობლური განწყობილების შენახვა და აი, ბატონებო, ვინც ჩვენს წინააღმდეგ გამოდიან. ვინც ამბობს, რომ ომიანობა არ უნდა შეგვეჩერებინათ,—იმას უნდა ეთქვა და დაემტკიცებინა, რომ ეს ომის შეუჩერებლობა ხელს შეუწყობს დამოუკიდებლობის ცნობას და გააძლიერებს ჩვენს ქვეყანას (მაჩაბელი, რაზე ლაპარაკობთ?) ასეთი საბუთი არც უთქვამთ, არც მოუყვანიათ. საქმე იმაშია, რომ თქვენ ილაპარაკეთ იმაზე, რაზედაც არ უნდა გელაპარაკნათ, და არ ილაპარაკეთ იმაზე, რაზედაც უნდა გელაპარაკნათ (ტაში).

როცა მთავრობა დარწმუნდა იმაში, რომ ტერიტორიის საკითხი აქ არ გადაწყდება, მაშინ ომს დაეკარგა თავისი მიზანი, ომს არ დაურჩა არავითარი პერსპექტივა. მიდიხარ წინ და რისთვის, ვისთვის. როდესაც პერსპექტივა, მიზანი არ აქვს არც მთავრობას, არც ჯარს, მაშინ ომის წარმოება არ შეიძლება (გაბაშვილი, რათ დაიწყეთ?) თუ, ბატონებო, იმას ფიქრობთ, რომ შეიძლება ეს მთავრობამ იცოდეს, ხოლო ჯარი მაინც უნდა წასულიყო წინ და ებრძოლა—ეს ნიშნავს დიდი დანაშაულობის ჩადენას. ჩვენ ვალდებულნი ვართ დიდათ იმას, რომ უმიზნოთ და უსარგებლოთ სისხლი არ უნდა ეღვაროს. პერსპექტივა ჩვენ აღარა გვქონდა, რომ ომის საშუალებით ჩვენ მივაღწევდით რამეს და მაშინ ჩვენ არავითარი უფლება არ გვქონდა არც მორალური, არც პოლიტიკური, რომ გვეთქვა ჯარისთვის—წადი, იბრძოლე (ხმა—25 შემდეგ რომ შეუტიეთ). 25 შემდეგ სომხეთის მთავრობა არ იყო თანახმა, ის გახდა თანახმა მას შემდეგ, როცა შეუტიეთ და დავამარცხეთ (მაჩაბელი. თქვენ ხომ დიდი პოლიტიკოსი ბრძანდებით, გჯერათ ესა?) იმედია, რომ თქვენც დაიჯერებთ ამას ბატონო. აი, ბატონებო ის სუდი პოლიტიკურა ანგარიში, რომლითაც მთავრობა ხელმძღვანელობს და ხელმძღვანელობდა მაშინ, როცა მან შეაჩერა ეს ბრძოლა. ეგ არ ნიშნავს, თავის თავად ცხადია, იმას, რომ ჩვენ უნდა დავყაროთ ფარხმალი და უნდა ვეძინოთ ბალიშზე. ჩვენ ისევე საქმე გვაქვს ერევნის მთავრობასთან და იქ ხელმძღვანელ პარტიასთან. ჩვენ მათი ნდობა ამიერიდან არ გვაქვს. ჩვენ მუდამ გვექნება საფრთხე იმ მთავრობასაგან, სანამ იქ იქნება გაბატონებული დაშ-

## ლაშქრული

(მუსიკოს კ. ფოცხვერაშვილის კომპოზიციით).

აღვმართოთ დროშა წითელი,<br>
შევმუსროთ ძმებო მტრის ხელი,<br>
ზე-აღმართული!<br>
დავიცვათ ჩვენი უფლება,<br>
ნეტარი თავისუფლება<br>
და გავაბრწყინვოთ დიდებით<br>
ტურფა მამული!<br>
წინ მედგრათ მამულიშვილნო!<br>
წინ ერთად ხალხის გმირთ-გმირნო<br>
თავგანწირულათ!<br>
კურთხევა იმას დღეისა,<br>
დიდება შემოქმედისა,<br>
ვინც ბრძოლის ველზე ქვეყნისთვის<br>
კვდება გმირულათ!<br>
მხარე ამირან-გმირისა,<br>
ნაცადი ტანჯვა-ჭირისა<br>
ზე აღვადგინოთ!<br>
ავანთოთ რწმენის ლამპარი,<br>
ავაგოთ ძმობის ტაძარი<br>
და უკვდავება—დიდებით,<br>
ერი ვალხინოთ!<br>
აბა ფეხ-მარდათ, ხელ მარჯვეთ<br>
წინ ძმებო! მტერსა მივაწვეთ,<br>
გავანადგუროთ!<br>
ან გავწყდეთ ბრძოლის ზვავითა,<br>
დედამ გვიგლოვოს შავითა,<br>
ან მოღალატე—დუშმანი,<br>
სისხლში გავწუროთ!<br>
რაზმ-რაზმს ჩქარა! მხარი მხარს!<br>
სიკვდილი მტარვალს საზიზღარს,<br>
ჭირთა მთოველსა!<br>
დიდება ერსა ჩვენს მშობელს,<br>
მშვიდობა-მადლი ამ სოფელს,<br>
თავისუფლება-სიკეთე,<br>
ერსა ყოველსა!<br>
აღვმართოთ დროშა წითელი,<br>
შევმუსროთ ძმებო მტრის ხელი<br>
ზე აღმართული!<br>
დავიცვათ ჩვენი უფლება,<br>
ნეტარი თავისუფლება<br>
და გავაბრწყინვოთ დიდებით<br>
ტურფა მამული!

ნ. ჩხიკვაძე.

ნაკელების პარტია. მაგრამ მე ვამბობ, ჩვენ არ უნდა ავყვეთ სწორეთ ამ პარტიას და მის პროვოკაციას. თუ ამ პარტიამ შესძლო ჩვენი გადაყვანა თავის მეთოდზე, თავის გზაზე, თუ მან შესძლო თავს მოგვახვიოს ბრძოლა, მაშინ იცოდეთ ჩვენ ვიქნებით დამარცხებულნი საბოლოოთ, ზნეობრივ და პოლიტიკურად... (მაჩაბელი: აკი თქვენ თანახმათ გადაწყვიტეთ? თავჯდომარე: უკაცრავათ, ბატონო მაჩაბელო, სადა გგონიათ თქვენი თავი? უკაცრავათ ამ კითხვაზე, მაგრამ მე იძულებული ვარ ასეთი კითხვა მოგცეთ). ბატონებო, ჩვენ არ ავყევით იმ მთავრობის პროვოკაციას, ე. ი. ჩვენ არ მოვიმოქმედეთ ისე, რომ ევროპას დაენახა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა შეუძლებელია. აქ არის, მაშასადამე, ისეთი მოქმედება, რომელიც იქიდან ჩვენ გვიკარნახებს და ჩვენ ძალაუნებურათ გავყევით, მაგრამ ჩვენ შევჩერდით დროზე, და აი ამ ჩვენმა მოქმედებამ უფრო გააძლიერა, უფრო მეტი საბუთი მისცა ყველას იმისთვის, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ერთიანობა და მისი დამოუკიდებლობა იქნეს ცნობილი. აი ეხლა დაშნაკელთა პოლიტიკას, რომ გავყოლოდით, ჩვენი დამოუკიდებლობა იქ, საერთაშორისო ტრიბუნალზე, ჩავარდებოდა დიდ საფრთხეში. ჩვენ ვიცავთ არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობას, არამედ ვიცავთ საქართველოს დემოკრატიულ წყობილებას. აქ ერთმა სთქვა, მგონი ეს იყო ბატ. ს. კედია, რომ საქართველოში ვერ მოვითმენთ სხვა ნაციონალურ ზრახვებსო. (კედია—პოლიტიკურ ზრახვებს საქართველოს წინააღმდეგ, ეს იყო ჩვენი აზრი)... ეს არის ჩვენი პოლიტიკაო. მე მაგაში სრულიად ვეთანხმები ბ. კედიას, არ შეიძლება სახელმწიფოში იყოს მეორე სახელმწიფო. მაგრამ მე უნდა ვკითხო, რა საშუალებით სურს ბ. კედიას ეს საქმე ასე მოაწყოს, რით სურს, რომ საქართველოში მართლა არ იყოს სხვანაირი ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ ზრახვები და მიმართულებები? ეს ალბათ ფიქრობს, რომ უნდა ავიღოთ ჩვენ ხელში მაგარი კეტი და თავზე დავცხოთ ყველას, ვისაც ასეთი ზრახვები აქვს. (ამა მემარჯვენეებისაგან—არ არის მართალი).

ბატონებო, ამას თუ არ ფიქრობს, მაშინ ის უნდა გამოვიდეს თავის პარტიიდან და აქეთ პარტიაში უნდა ჩაეწეროს. იმიტომ, რომ სხვანაირი წესით მართველობა არ აქვს არც ბურჟუაზიას, არც ნაციონალისტებს. მე მგონია, თქვენი პოლიტიკა უნდა იყოს ამნაირი, თუ თქვენ ხართ ნაც.-დემ. პარტიისა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ასეთი ზრახვები, ჩვენ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული, უნდა იყოს აღმოფხვრილი არა კეტით, არამედ თითონ დემოკრატიულ რეჟიმით უნდა იყოს აღმოფხვრილი თავისუფლებით. ჩვენ შორის, ბატონებო, აქ არის განსხვავება. და ეს მყოფს ორ დიდ მიმართულებას ამიტომ ჩვენ ვერ დაუშვებთ ისეთ მოქმედებას, ისეთ ქცევას, რომელიც აი ამ პრინციპს აქ ჩვენ ქვეყანაში უთხრის ძირს, ე. ი. ჩვენთვის მთავარი არის ის, რომ ჩვენი დემოკრატიული წყობილება იქნეს აგებული აქ მცხოვრებ ერთა ნებაზე და სურვილზე, მაშასადამე საქართველოს მცხოვრებნი უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ეს წყობილება, ეს დამოუკიდებლობა აქ არსებობდეს. ეს ესმისერევნის მთავრობას და აგრეთვე მის ხელმძღვანელ პარტიას და სწორეთ სურთ ძირი გამოუთხარონ. ამას თუ მათ შესძლეს საქართველოს საზღვრებში ისეთი ღვარძლის და შურის დათესვა, როგორც მათ შესძლეს ერევნის გუბერნიაში და სხვაგან თუ ჩვენში დათესეს ისეთივე ნაციონალური შუღლი და ბრძოლა, როგორც იქ, მაშინ ჩვენი დემოკრატიული წყობილება ვეღარ იარსებებს. დაინგრევა დემოკრატიული წყობილება და თუ დაინგრევა დემოკრატიული წყობილება ჩვენში არ შეიძლება იქნეს დამოუკიდებელი საქართველო. დიახ, აი ბ-ნი ვეშაპელი გულახდილი კაცია, მან სთქვა ერთი სიმართლე, დიახ. (ხმაურობაა).

ბ. ვეშაპელმა სთქვა, რომ ომის შეჩერება საჭირო იყო იმისთვის, რომ საქართველოშია ახალი ძალები, ახალი მიმდინარეობა, რომელიც შეებრძოლებენ აქ გაბატონებულ პარტიას, არ აღმოცენებულიყო ასეთი ძალა, ეს ძალა იქნებოდა აი ამ პარტიის გასაძლიერებლათ (ბ. მაჩაბელი. მშვენიერი იქნებოდა). მაშასადამე, აქედან თქვენ ხედავთ, რომ ამ პარტიას ომის გაგრძელება სდომებია თავის პარტიის გასაძლიერებლად (ტაში). ბატონებო, ეს ითქვა ამ ტრიბუნიდან.

მე ვამბობ, რომ ომის გაგრძელება იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ არ გვქონდა პოლიტიკური პერსპექტივა მაშინ, როცა ამ ომში აღარ სწყდებოდა ტერიტორიის საკითხი. ამ ომის გაგრძელება ამ შემთხვევაში ნიშნავს არა ომს, არამედ შურისძიებას, ე. ი. ნიშნავს ურთიერთობის ქლეტვას და ხოცვას. და სწორედ ასეთი ხოცვა და ქლეტა უმიზნოთ შექმნიდა ჩვენში ისეთ ნიადაგს, რომელზედაც აღმოცენდებოდა შუღლი და მტრობა საქართველოს და სომხეთს შორის (გაბაშვილი: ეს ხომ ჩაანელეთ) ბატონებო, თქვენთვის ეს არ არის საყურადღებო, მაგრამ ჩვენთვის დემოკრატიისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ამაზე არის აგებული დემოკრატიული წყობილება. თქვენ იცით, რომ ჩვენ აჯარებული დეპეშები მოგვდის და თვითონ სომხის ხალხისაგან დუშეთის, თელავის და სიღნაღის მაზრებიდან. ყველა ისინი გულის წყრომას გამოსთქვამენ ერევნის მთავრობის წინააღმდეგ, მოგვდიოდა დეპეშები თანაგრძნობისა. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საქართველოში მართლაც, რომ იქნება ერთი ფრონტი, საქართველოს ფრონტი, მიუხედავათ ეროვნებისა და აი ჩვენ ამ ფრონტს ვიცავთ და ამ ფრონტზე უნდა იყოს აგებული ჩვენი დემოკრატიის წყობილება. აი სწორედ, ბატონებო, ეს ფრონტი არ მოგწონთ. აქ არის, როგორც ვსთქვი, არის დემოკრატიული, და იმავე დროს საერთაშორისო, რომელზედაც სდგას საქართველო და რომელზედაც აგებულია მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილება. აი ეს ფრონტი არ მოგწონთ ნაც.-დემ. ჯგუფს და აქედან არის ჩვენსა და მათ შორის მთელი განსხვავება. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ეს ომი არ არის შეწყვეტილი ან შიშით ან შემთხვევითი მოვლენით. გამოდის ისე, რომ მოვიდა ორი ან ხუთი ინგლისელი და მათ წინაშე შევშინდით. არა ბატონებო, ჩვენ შიში არ ვიცით რა არის. ჩვენ გამოცდილნი ვართ, უფრო ძლიერ, დიდ მტერთან გვქონია საქმე, მაგრამ ჩვენ გვაქვს გონიერება და ერთნაირი პოლიტიკური ანგარიში. (მაჩაბელი, ჩვენი შიში გაქვთ) თქვენი შიში არ გვაქვს სრულიად, ბატონო მაჩაბელო, და მე ვამბობ, რომ მე ვიცი ან ამ ომის შეწყვეტა არა მარტო ამ ფრაქციაში, არამედ ბევრ სხვა წრეებშიაც ერთგვარ გაუგებრობას იწვევს და სწორეთ მე ვამბობ, რომ ომის შეწყვეტა გამოწვეულია იმ პოლიტიკურ ანგარიშით, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ და არ გვინდა ამ ანგარიშებს ავცდეთ, ომის შეწყვეტა ნიშნავს იმას, რომ ერთი მხრივ ჩვენს დამოუკიდებლობისათვის ხელსაყრელია და მეორეს მხრივ, ჩვენს დემოკრატიულ წყობილებას უფრო და უფრო განამტკიცებს. ომის გაგრძელება ამ პირობებში ნიშნავდა იმას, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ჩავარდებოდა დიდ საფრთხეში და იქიდან ჩვენი დემოკრატიული წყობილება და მთელი ჩვენი დემოკრატია, ასე თუ ისე, დასუსტდებოდა. ეს იყო, ბატონებო, იმათი, დაშნაკელთა ინტერესი, ეს არ იყო ინტერესი არც ჩვენი დემოკრატიისა და არც საქართველოს ხალხისა (ერ. დემ. სომხებისა?) მე არ ვამბობ, რომ ეს არის ინტერესი სომხებისა. მე ამას არ ვიტყვი. ჩვენში მყოფი სომხების და სხვა ერების ინტერესი არის, რომ ჩვენში იქნეს დემოკრატიული წყობილება მტკიცე და შეურყეველი. მე მესმის, რომ არიან სომხები, რომლებსაც არ სწამთ ჩვენი, არც დამოუკიდებლობა, არც წყობილება, მაგრამ შეიძლება, რასაკვირველია, ასეთი სომხები იყვნენ იქაური სომხები, უფრო კი მოსულები და საქართველოში მცხოვრებ სომხების აზრი ჩვენ მოვისმინეთ სხვადასხვა ტელეგრამებიდან (ვეშაპელი: ტარიფი იფიქ?) აი ის სომხები, რომელნიც აქ სცხოვრობენ დიდი ხნია და მამაპაპურად არიან ჩვენ ხალხთან შეერთებულნი და შესისხლხორცებულნი, ისინი არ წამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ისინი, ბატონებო, ვინც აქ თფილისში უნებურად მოკალათებულნი იყვნენ, აქ სწერდნენ და ეწეოდნენ წინააღმდეგობას ორ ნაწილს მაინც, არავითარი კავშირი არ ჰქონდა ამ დემოკრატიასთან და, უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს საზღვრებში ვერ გამოვა ვერც ერთი გაზეთი, რუსული იქნება თუ სომხური ან სხვა, რომელიც მტკიცედ არ დადგება საქართველოს (ერ. დემ.: „სოციალ-დემოკრატი" გამოდის, „ნოვოე ზნამია" გამოდის!) უნდა ვთქვა, რომ ის კრიტიკა, რომელიც ჩვენ დღეს აქ მოვისმინეთ, გამომდინარეობს არა ჩვენ სახელმწიფოებრივ და დემოკრატიულ ინტერესებიდან, არამედ გამომდინარეობს წმინდა ჯგუფურ ინტერესებიდან და მთავრობა ვერ დაადგება ასეთ ჯგუფურ თვალსაზრისს. (ერ. დემ: დაადგება!) ის, ბატონებო, დაადგება მაშინ, როცა თქვენი ჯგუფი შეადგენს აქ უმრავლესობას და გეყოლებათ თქვენი მთავრობა. თუ ეს მოხდა, მაშინ საქართველოს უკანასკნელი ჟამი დადგება (ტაში მემარცხ. ფრთ. კედია: მაშინ ვნახოთ. გაბაშვილი: მაგასაც ისწავლით!) მე მოვიწოდებთ ყველას ამ კათედრიდან, რომ კითხვა, რომელიც აქ არის აღძრული, მეტად სერიოზულია და მან არავითარი გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს, როგორც პარლამენტში, ისე ჩვენ ხალხში. ვინც სდგას დემოკრატიულ ნიადაგზე, ყველა იმან უნდა იცოდეს, რომ, რაც ჩვენ ვქენით, ეს იყო ერთად ერთი გამოსავალი და საშუალება, რომლითაც შევძლო დაგვემტკიცებინა, როგორც ჩვენი დემოკრატიული წყობილება, ისე ჩვენი დამოუკიდებლობა (ტაშ. მემარცხ. ფრ.).

———

მთავრობის მოხსენების გამო სომხეთთან სამხედრო მოქმედების შეჩერების შესახებ, საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს შემდეგს: „სომხეთთან სადავო კითხვების გადასაწყვეტად და ომიანობის თავიდან ასაცილებლად მთავრობამ მიიღო ყველი საშუალება და ღონისძიება, რომელიც კი მის განკარგულებაში იმყოფებოდნენ, ხოლო, როდესაც სომხეთის მთავრობა, მიუხედავათ ჩვენი სამშვიდობო განზრახვისა, შეეცადა იარაღით მოეხვია ჩვენთვის თავისი სურვილები და სომხეთის ჯარი ჩვენს ტერიტორიას შემოესია, მთავრობამ შესძლო მთელი ხალხის შეიარაღებულ ძალთა ფეხზე დაყენება და თავდამსხმელ მტრისთვის სათანადო პასუხის გაცემა. მტრის დამარცხებისა და უკან გაბრუნების შემდეგ, გასტეხა რა სომხეთის მთავრობის ძალმომრეობითი მისწრაფებანი და დაადგინა პირობა ჯარის ძველ საზღვრებზე გადაყვანისა, მან სწორი საერთაშორისო პოლიტიკური ანგარიშით მიიღო წინადადება სამხედრო მოქმედების შეჩერებისა და საზავო მოლაპარაკებისთვის გზის გახსნისა ისეთ პირობებსა და გარემოებაში, რომელიც ჰქმნის საუკეთესო საერთაშორისო განწყობილებას საქართველოს რესპუბლიკის და მისი დემოკრატიული პოლიტიკის სასარგებლოდ. ყველა ამის გამო საქართველოს პარლამენტი სწორედ და უტყუარად სთვლის მთავრობის მოქმედებას, ისე სამხედრო მოქმედების შეჩერების შესახებ და გაზავის მორიგ საკითხზე".

## ს.-დემ. პარტიაში

თფილისი, 2 იანვარს შესდგა საქართველოს ს. დ. მ. პარტიის კოლექტივის წევრთა კრება. განსახილველი იყო კითხვები: მოხსენება, განცხადება, სახმოსნო კანდიდატების სიის შემუშავება, პარტიულ ამხ. სომხების შესახებ, დაშნაკელების, შესახებ საზოგადო კრების მოწვევა.

კრებამ მოისმინა კომიტ. წარმომადგენლის მოხსენება. ირკვევა, რომ კომიტ. მიუღია ზომები რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მიერ ამ დღეებში პროვოკაციულ ფურცლების გამოშვების საწინააღმდეგოთ კომიტეტი წინადადებას აძლევს რაიონებს დაუყოვნებლივ წარადგინონ სია იმ სომეხ ამხანაგებისა, რომლებიც ამა თუ იმ რაიონში სამედო პიროვნებათ, პარტიის წევრათ ითვლებიან, რის შემდეგ აღძრულ იქნება შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა ისინი არ იქნან განდევნილნი. კრება ამ წინადადებას ღებულობს. სახმოსნო კანდიდატების სიის გამომუშავება კომიტეტმა მიანდო რაიონებს. კრებამ იქონია რა ამაზე მსჯელობა, წინა წარ გამოიმუშავა მომავალ ქალაქის ხმოსნების სია, რომელიც მომავალ რაიონულ კოლექტივსა და ქვერაიონების შეერთებულ კრებაზე უნდა იქნას გადასინჯული და შემდეგ წარედგინოს კომიტეტს. საზოგადოების მოწვევის შესახებ კრებამ დაადგინა, შაბათს, 11 იანვარს, ახალი სტილით, სახალხო სახლში მოწვეულ იქნას მეორე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება, სადაც ამხ. ევ. გეგეჭკორი და რ. ჩხეიძე საქართველო-სომხეთის ომის, ქალაქის არჩევნებისა და ჩვენი სამზადისის შესახებ გააკეთებენ მოხსენებას.

თედ. ხუხუნაიშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩემი ვის ძვირფასის და დაუვიწყარის მაზლის შვილებმა: ვალიკოს, გრიშას და ბესარიონ სალუქვაძეების, პირველის გარდაცვალებიდან ნახევარი წლის და მეორე და მესამე ერთი წლის თავის შესრულებისა გამო, მათი ხსოვნის აღსანიშნავათ ვწირავ სამშობლოს კეთილდღეობისათვის—სომხეთთან ომში მოკლულ დასახიჩრებულთა ოჯახების სასარგებლოთ ათს კოლოფს (5 გირ.) ყვავს და ფულად ხუთს თუმანს.

კატუშა ნ. სალუქვაძისა.


# განცხადებანი

გახსნილია

## კერძო სამკურნალო

მუდმივი საწოლებით.

მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მელიქიშვილის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ექიმი

## პ. ტ. ლორთქიფანიძე

(ბაქოდან)

მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.

ნაბერიძის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

კბილის ხელქიმი კაბინეთები

თეოდორა საყვარელის ძე ცხოველიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—35.

მედ. დოქტ. რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი

მედიცინის დოქტორი ქირურგიის უნივერსიტეტის ... კლინიკისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთა და ბავშვებს. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი

## ა. ნ. ზატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემინოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი მ. ა. ზაზრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი

(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულებით, ბავშვთა, სქესობრივ და ხმოვანი სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიონოვიჩის აფთიაქის გვერდით.

რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.

წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე

დოქტორ ა. მ. ლევენშტეინისა.

რენტგენო ფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა. სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭაჭების ავადმყოფობისა. ელექტრო მკურნალობა და მეხანო-ტერაპია. მიღება დილის 10 ნახ.—1 საათ. და საღ. 4—7 საათ. მისამართი: კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3.

ექიმი

## კეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „როის" პირდაპირ. ტელ. 14—28.

რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეთი მედიცინის დოქტორის

## გ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი ყ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა. მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

საჭულებ უფასოდ.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე

## მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხახვის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

## დაიკარგა

4 იანვარს საღამოს 9 ს. თბილისის სადგურზე საფულე, რომელშიაც იყო ფული, საჭირო ქაღალდები, ორი სამგზავრო წლიური ბილეთი; მოცემული რკინის გზის ცენტრალურ პროფესიონალურ გამგეობისაგან, და მეორე რკინის გზის სამმართველოდან მე-5 ნაწილიდან, პირადობის მოწმობა ფოტოგრაფიული სურათით და სხვა. მპოვნელს ვთხოვ დაიბრუნოს მარტო ქაღალდები შემდეგი მისამართით: თბილისი, ჩერქეზიშვილის ქ. № 200. რკინის გზის ცენტრალური პროფესიონალური გამგეობა—ნიკო ნასიძეს.

# სახელმწიფო თეატრი

ოპერა

სამშაბათს, 8 იანვარს, დილით „რუსალკა".

საღამოს „რომეო და ჯულიეტა".

ოთხშაბათს, 9 იანვარს, დილით „კარმენი".

საღამოს „შიდოვკა".

შაბათს, 11 იანვარს, საღამოს „ფაუსტი".

# სახალხო სახლი

ხახ. ხახ. არხ. ქართ. წარ. მმართველი წრე.

ოთხშაბათს, 8 იანვარს, ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ, ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სასარგებლოდ გამართული იქნება სალ. შემდეგის პროგრამით:

I. **პირიმზე** ალ. რაჟ. წუწუნავას რეჟ. სორობით.

II. **დედა და შვილი** დრ. პოემა ი. ჭავჭავაძისა. ეფ. მესხის მონაწილეობით.

III. **საკონცერტო განყოფილება**

მონაწილეობენ მომღერალნი: კალანდაძისა, ა. ინაშვილი. სცენებს წაიკითხავენ ნ. გოცირიძე, ა. გუგუშვილი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ქართ. ხახ. წარ. წრ. გამგეობა.

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის მიერ შედგენილი სინოპტიკური ქართული კედლის ყოველ თვიური

# 1919 წლისა კალენდარი 1919 წლისა

გამოცემა „განახლების" ამხანაგობისა

ფასი 4 მანეთი.

მსურველთ შეუძლიათ იყიდონ ნაძალადევში, ხუდადოვის ქუჩა, სახ. № 14, გრ. ჩარკვიანის წიგნთა საცავში. (2—2)

## მოითხოვეთ ყველგან

ნახშირ-მჟავიან ნაცარ წმინდიანი წყალი

# ბორჯომი

ერთად-ერთი წარმომადგენელი მიწად მოქმედების სამინისტროსი.

მთავარი საწყობი ბორჯომში.

თფილისში. კანტორა დროებით მოთავსებულია თამამშევის ქარვასლაში სახოგ. „კახეთის" ღვინის კანტორასთან. იყიდება ბითუმათ და წვრილათ.

ქუთაისში. საკუთარი საცავი ვორონცოვის ქუჩაზე.

სამტრედიაში. წარმომადგენელ მიხეილ ბახტაძესთან.

ფოთში. ივ. კობახიძესთან. ლიალინის ქუჩა.

ყვირილაში. ალექსანდრე ჯალაღანიასთან.

პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

პატივისცემით დ. ე. ქებაძე.